ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 280 (20021) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 5 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲘᲯᲐᲠᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ

ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ პოლიტიკის განხორციელების დასაჩქარებლად ახლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ მოემზადებიან საზოგადოებრივი მეურნეობები სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად. რა თქმა უნდა, სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა ასე იოლი არ არის და მას აჩქარება კი არა, ეკონომიკის, მეურნეობრიობის გულდასმითი გაანალიზება და მერე მისი დაჩქარებით განხორციელება უნდა.

სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა იქ არ გაუჭირდებაო, სადაც თავის დროზე იზრუნეს იჯარული შრომის მოსაწესრიგებლად. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაინერგა ბრიგადული და ოჯახური იჯარა. იჯარული შრომა დღეს აუცილებელი, ორმხრივ (მეურნეობისა და მშრომელისათვის) სარფიანია. სოფლად გარდაქმნის გადამწყვეტი მომენტი იჯარული შრომა რომ არის, ეს ბევრი მაგალითით დასტურდება. იჯარა მმართველობის ასალი ფორმაა, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის სამუშაო იზომება არა სიტყვათა რაოდენობით, არამედ პრაქტიკულ საქმეთა საბოლოო რაოდენობრივი შედეგით. თუ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, აღნიშნულია აგრომრეწვის მუშაკებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნებულ მიმართვაში, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას ხელმძღვანელები და სპეციალისტები ფორმალურად კი არა საქმიანად მიუდგებიან, მაშინ შედეგიც არ დააყოვნებს და წვენ შევძლებთ ჩამორჩენილი მეურნეობანი მოსავლიანობის მიხედვით მოწინავეთა დონეზე ავიყვანოთ.

ბრიგადულ იჯარასთან ერთად მნიშვნელოვანია ოჯახური იჯარა. იგი დროის მოთხოვნაა. ოჯახური იჯარის დროს მთავარი მარტო საბოლოო შედეგი კი არ არის, არამედ ის, რომ ოჯახურ-კოლექტიურ შრომაში მონაწილეობს ოჯახის ყველა შრომისუნარიანი წევრი, რასაც ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი საზოგადოებრიობისათვის, აგრარული პოლიტიკის განხორციელებისათვის. ასე რომ, ოჯახური იჯარით მუშაობის დროს საფუძველი ეცლება მუქთახორობას, უსაქმურობას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. სოციალიზმის პრინციპი — ყველას თავისი შრომის მიხედვით — მთლიანად ხორციელდება.

არის თუ არა საშუალება და ხელშემწყობი პირობები იმისათვის, რომ საზოგადოებრივი მეურნეობები სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე გადავიდნენ? პირდაპირ შეიძლება ვთქვათ, რომ არის. იმ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, სადაც მაღალ დონეზეა შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა, სადაც გულისხმიერად იყენებენ რეზერვებსა და რესურსებს, სადაც განუხრელად სრულდება პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი, მითითებანი და სხვა ღონისძიებანი, კოლექტიური შრომის საქმე კარგად მიდის და წარმატებებს აღწევენ. წარმატებების მქონე საზოგადოებრივ მეურნეობებს თვითდაფინანსებაზე გადასვლა არ გაუჭირდებათ. მაგრამ საკმაოდ არიან საშუალო და სუსტძალოვანი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. შეიძლება თუ არა ასეთ მეურნეობათა ეკონომიკის აღმასვლა? რატომაც არა, თუკი მოწინავეთა გამოცდილებას საქმიანად გამოვიყენებთ. წარმოებაში დავნერგავთ იჯარულ შრომას (უწინარესად კი ბრიგადული და ოჯახური იჯარის შრომას).

მოწინავეთა შორის უწინარესად უნდა დავასახელოთ ეკონომიკურად ძლიერი საზოგადოებრივი მეურნეობანი და აგრომრეწვის სხვა საწარმოები. ბრიგადული იჯარით შრომის კარგ მაგალითებს იძლევიან ზუგდიდის, სიღნაღის, წითელწყაროს, ყვარლის, გორის, კასპის, მასხარაძის და სხვა რაიონების მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობები. წითელწყაროს რაიონის არხილოსკალოს კოლმეურნეობაში, რომელსაც დიდი ხანია უნარიანად, საქმის ღრმა ცოდნით უძღვება მიხეილ კობაიძე, ბრიგადული იჯარით შრომის მეოხებით წარმატებებს აღწევენ მევენახეობაში, მეცხოველეობასა და განსაკუთრებით მემინდვრეობაში. კოლმეურნეობის მექანიზატორებს თავთავიანი მარცვლეული კულტურები ხელის შრომის გამოუყენებლად მოჰყავთ. ბრიგადებმა თავიანთი საქმე ზედმიწევნით კარგად იციან და შრომის საბოლოო შედეგიც საამაყოა. რა თქმა უნდა, ამ კოლმეურნეობას, ისე როგორც მის მეზობელ ზემო ქედის, ქვემო ქედისა და ჯაფარიძის კოლმეურნეობებს, არ გაუჭირდებათ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა.

ბრიგადულ იჯარასთან ერთად, ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ სოფლებში ხელსაყრელია ოჯახური იჯარით შრომა. ვალის რაიონის აჩიგვარის აგროსამრეწველო კომბინატში ბრიგადების და რგოლების უმეტესობა იჯარული მეთოდით შრომობენ. აქ 200 ჰექტარ ჩაის პლანტაციას 16 საოჯახო რგოლი უელის. წელს მათ 900 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიიღეს, საიდანაც 80 პროცენტი პირველი ხარისხისაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახტანგ ქობალიას მექანიზებული რგოლი, რომელშიც სამი მექანიზატორია გაერთიანებული. წელს რგოლის თითოეულმა წევრმა 11.230 მანეთის პროდუქცია შექმნა. აქ, რა თქმა უნდა, ანაზღაურება პირადი შრომის მიხედვით ხდება. თითოეულმა წევრმა 3.100 მანეთი მიიღო, ხოლო მერგოლურმა — 5.760 მანეთი. ამას მიუმატეთ საკარმიდამოდან მიღებული შემოსავალი და ნათელი გახდება, რაოდენ მომგებიანია იჯარული შრომა როგორც საზოგადოებრივი მეურნეობისათვის, ისე თავად ოჯახისათვის.

წლეულს სამეურნეო ანგარიშზე რაიონში პირველი გადავიდნენ გორის პერპროდუქტების საწარმოო კომბინატის წისქვილის საამქროს კომპლექსურ-გამჭოლი ბრიგადის წევრები. ახლა აქ ყველა ცვლა გადამეტებით ასრულებს ნედლეულის გადამუშავებისა და წარმოების დავალებებს. ამაში ხელი შეუწყო მოლიანად კომბინატს გადაჯარებებით შეესრულებინა საოქტომბრო დღესასწაულისათვის ნაკისრი ვალდებულებები. გამოშვებულია 3.251 ტონა ფქვილი და 2.986 ტონა კომბინირებული საკვები.

თვითდაფინანსებაზე გადასვლის სათანადო პირობები თავად საწარმოთა კოლექტივებმა უნდა შექმნან. ამის თავადვე წინამძღვარი კი ბრიგადული და საოჯახო იჯარული შრომაა. ყვარლის რაიონში ახლა 3.000-ზე მეტი იჯარით მომუშავე ოჯახია. შრომის ამ მეთოდს მხარს უჭერენ რაიკომი და აგროსამრეწველო გაერთიანება. ეს კი თვითდაფინანსებაზე გადასვლის ერთ-ერთი წინამძღვარია. მაგრამ არიან სასოფლო რაიონები, სადაც პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები სიახლეს თავს არიდებენ — ვაითუ, რამე მოხდესო. დაეჭვებულთა შორის ბევრი სოფლის მშრომელიც არის. ძველი გზით სიარული გარდაქმნათა ამ ეტაპზე აღარ გამოდგება. პარტიის სასოფლო რაიკომებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა მშრომელები, მეურნეობათა საშუალო რგოლის ხელმძღვანელები დაარწმუნონ, რომ შრომის ახალი ფორმები მთლიანად შეესატყვისება სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის და შრომის განაწილების სოციალისტურ პრინციპებს. სამუშაო ადგილზე რამდენიც იშრომე, იმდენი მიიღე. ბევრი იშრომე? — ბევრს მიიღებ, ცოტა გააკეთე — ცოტას მიიღებ. შრომისადმი ასეთი დამოკიდებულება ადამიანს მიწასთან უფრო აახლოებს და მას ნამდვილი ბატონ-პატრონის სულისკვეთებას განუმტკიცებს. ბევრი იკითხავს — თუ ასეა, საჭიროა თუ არა პირადი საკარმიდამო მეურნეობა? ნამდვილად საჭიროა! რაც მეტი პროდუქტი იქნება სოფლად, იმდენად ქვეყანაც მდიდარი იქნება, იმდენად მაღალ უზრუნველყოფილ სასურსათო პროგრამის განხორციელებას.

იჯარულ შრომას — ბრიგადულს, ოჯახურს — დიდი მხარდაჭერა და ხელშეწყობა უნდა როგორც პარტიული, ისე საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მხრივ. ეს საზოგადოებრივ მეურნეობებს საშუალებას მისცემს მაღლა გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე. ამით დიდ წვლილს შევიტანთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმისა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

ᲡᲐᲣᲙᲗᲔᲡᲝ ᲜᲘᲛᲣᲨᲗᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲒᲐᲛᲘᲡᲐᲓ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ პირველი მაისის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა მთლიანად შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის თერთმეტი თვის სახელმწიფო გეგმები. „სიახლის“ ინდექსით დამზადდა გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად მეტი ნაწარმი.

ახლა კოლექტივის მთავარი საზრუნავია შეკერილი ტანსაცმლის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება. ამ მიზნის ემსახურება ყველა ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიება, რომლებიც ფაბრიკამი ხორციელდება. ემზადებიან საწარმოს გენერალური რეკონსტრუქციისათვის, რომელიც გაისად დაიწყება. განახლებულ საწარმოში, როგორც აქ ვარაუდობენ, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი დონის პროდუქციას გამოუშვებენ და საგრძნობლად გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას.

ძალების მაქსიმალური დაძაბვით მუშაობენ მკერავები წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და მომავალი წლის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა № 1 საამქროს მკერავი ელისო ჯოლოხავა. მისი ნახელავი ყოველთვის საუკეთესო ხარისხისაა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ელისო ჯოლოხავა.
Т. НИКОЛАЙШВИЛИС ფოტო.

ᲒᲣᲨᲘᲜ. ᲓᲦᲔᲡ. ᲮᲕᲐᲚ

ᲤᲐᲥᲢᲘ ■ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ■ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲪᲝᲢᲐᲪ და ახალი წელი შემოგიჯვნეს, ხუთწლედის მესამე წელი. რესპუბლიკის მშრომელები მოწადინებით ირჯებიან, ამას თვალნათლივ მოწმობს რედაქციაში მიღებული ცნობები, შრომითი პატაკები.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ქაღალდის ფაბრიკის მშრომელებმა მიმდინარე წლის 11 თვეში გეგმის გადამეტებით 340 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. ამასთან დაზოგეს ბევრად მეტი ნედლეული და ელექტროენერგია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

სამეურნეო ანგარიშით მომუშავე კომპლექსურმა ბრიგადებმა, რომლებსაც ვ. ბარათაშვილი, ი. გოლეთიანი, ა. გასპარიანი და ნ. რეზნიჩენკო ხელმძღვანელობენ, 20-25 დღის წინათ შეასრულეს ხუთწლედის ორი წლის გეგმები.

ისინი ახლა იმისათვის იღვწიან, რომ მომავალი წლის ოთხი თვის გეგმა ვ. ი. ლენინის დაბადების 118 წლისთავისათვის შეასრულონ და დამკვეთებს მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ნაწარმი მიაწოდონ.

▼▼

ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ

ᲑᲣᲡᲘᲜᲘᲡ № 2 შახტის (მთავარი ინჟინერი ალ. გიცა) კოლექტივმა ოქტომბრის 70 წლისთავის წინა დღეებში წარმატებთ შეასრულა მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის დავალება, რომელიც 148.350 ტონა ქვანახშირის ამოღებას ითვალისწინებდა. ენთუზიაზმით შრომობენ ამ დღეებში საწარმოს მეშახტეები. მათ დეკემბრის დავალებით გათვალისწინებული 6.700 ტონის ნაცვლად დღეისათვის უკვე ამოიღეს 6758 ტონა სათბობი და დღეიდან მომავალი წლის იანვრის ანგარიშში მუშაობენ. შახტის საერთო წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვთ იმ სამთო ბრიგადებს, რომლებსაც საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვარლამ ხინტუბა, ხუტა ბებუა, ნიკოლოზ ზაიკინი ხელმძღვანელობენ.

▼▼

ᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ

— ᲒᲐᲛᲝᲕᲣᲨᲕᲔᲑᲗ 3 მილიონ მანეთის ზეგეგმით პროდუქციას, დავზოგავთ 3 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას, გადაჭარბებით შეესრულებთ შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებას, — ასეთი ვალდებულებანი იკისრეს რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მშრომელებმა სამეურნეო წლის დასაწყისში.

და აი, გუშინ კოლექტივმა საშობლოს უპატაჟა ამ ვალდებულების პირნათლად შესრულება. გამოშვებულია 3 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია. მომხმარებელმა სახელმეკრულებო ვალდებულების საფუძველზე მიიღო მინერალური სასუქები, კაპროლაქტამი და სხვ. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების, უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების დავალებანი. დაზოგილია 10 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

გაერთიანების მშრომელებმა გადაწყვიტეს წლის ბოლომდე დამკვრელურად იმუშაონ, გამოუშვან მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია, რათა დაფარონ წინა წლის ნაკლული, შეასრულონ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

ᲔᲤᲕᲘᲗᲔᲜᲔᲜ ᲙᲣᲒᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜ რესპუბლიკაში სტუმრად ჩამოსული კუბის აგრარიკოს სპეციალისტთა დელეგაცია ეწვია მახარაძის რაიონის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას. სტუმრებმა დათვალიერეს გაერთიანების მუზეუმი, რომლის ექსპონატები ასახავს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების წარმოების დარგში ქართველ სპეციალისტთა მრავალმხრივ მუშაობას. ისინი იყვნენ აგრეთვე ბათუმის ციტრუსების დგასამუშავებელ ქარხანა „ნარინჯში“ და თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატში.

ᲡᲙᲝᲚᲐ-ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲝᲕᲜᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების საქმიანობის საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ ბოლო დროს გაწეული მუშაობის მიუხედავად, აქ კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. უაღრესად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მეტი წილი საინტერნატო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მაგალითად, სასწრაფო კაპიტალური რემონტი ესაჭიროება ბოგდანოკის, გუდაუთის, გურჯაანის, ლანჩხუთის, ლენინგორის, წულუკიძის, ხელვაჩაურისა და მთელი რიგი სხვა რაიონების სკოლა-ინტერნატების შენობებს. აკლიათ საკლასო ოთახები, კაბინეტები და სახელოსნოები, მოწყობილობა, ავეჯი დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოს, გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის, მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოსა და მრავალ სხვა საინტერნატო დაწესებულებას.

სკოლა-ინტერნატების სუსტი მატერიალური ბაზისა და ბავშვების მოუვლელობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები მკაცრ კონტროლს არ უწევენ სახელმწიფო სახსრების ხარჯვას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, თბილისის, ქუთაისის, კასპის, ყვარლისა და მთელი რიგი სხვა რაიონების საინტერნატო დაწესებულებებში მარტო 1986 წელს აუთვისებელი დარჩა 221 ათასი მანეთი საბიუჯეტო სახსრები, რომლებიც გამოყოფილი იყო კაპიტალური რემონტისათვის, ინვენტარის, მოწყობილობის შეძენისა და სხვა სამეურნეო საჭიროებებისათვის.

თავის მხრივ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სახმომარაგება, ხე-ტყისა და ხის დამშუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო და მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო არ ასრულებენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს შესაბამის დადგენილებას ავეჯსა და რბილ ინვენტარზე, აღსაზრდელთა ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე საინტერნატო დაწესებულებათა მოთხოვნის სრული დაკმაყოფილების შესახებ.

სუსტად ეწევიან მუშაობას შეფი საწარმოები და ორგანიზაციები. მაგალითად, ჯავის სკოლა-ინტერნატს მრავალი წლის მანძილზე შეფი — ადგილობრივი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი — ვ. კოჩიევი) არავითარ დახმარებას არ უწევს. საშეფო სასწავლებლების ბედი არ აინტერესებთ საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის, სამინისტროს გურჯაანის კომბინატს (დირექტორი — ა. მეტრეველი), რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს თიანეთის № 3 საგზაო-საექსპლოატაციო უბანს (უფროსი — ნ. ჩუბინიძე).

დამაკმაყოფილებლად არ არის ორგანიზებული სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა კვება. გასაუმჯობესებელია საინტერნატო სასწავლებლების აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება.

განათლების სამინისტრო, მისი სამმართველოები, ადგილობრივი სახალხო განათლების ორგანოები საკმარის კონტროლს არ უწევენ იმას, თუ როგორ არის დაყენებული სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, არ ზრდიან მომთხოვნელობას მათი ხელმძღვანელების მიმართ მეცადინეობის, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ხარისხისათვის.

არსებითი ნაკლი ახასიათებს პედაგოგთა და აღმზრდელთა კადრების შერჩევასა და განაწილებას. ცუდად არის დაყენებული სამართლებრივი აღზრდა, გასაძლიერებელია სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები საკმარისად არ ზრუნავენ სკოლა-ინტერნატების პირველადი პარტორგანიზაციების რიცხობრივი და თვისებრივი ზრდისათვის, მათი მებრძოლუნარობისა და კოლექტივების საქმიანობის ყველა მხარეზე მეტი გავლენისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არასაკმარისად ცნო განათლების სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ამასთან დაკავშირებული სხვა სამინისტროებისა და უწყებების, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, შეფი საწარმოების მუშაობა რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა ყოფის, აღზრდისა და სწავლების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, განათლების სამინისტროს, ყველა დაინტერესებული სამინისტროს, უწყების, ორგანიზაციის მონაწილეობით შეიმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლებისა და სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროგრამა, რომელიც გათვალისწინებული იქნება 1995 წლამდე, და უზრუნველყოს მისი შესრულების კონტროლი.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სახმომარაგებას, განათლების სამინისტროს, ხე-ტყისა და ხის დამშუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მონაწილეობით დაეკალათ განიხილონ რბილ და მაგარ ინვენტარზე, თანამედროვე ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე სკოლა-ინტერნატების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სკკპ წევრებს — საქართველოს ვაჭრობის მინისტრს ა. ო. მოვსესიანს, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს კ. ნ. მაყაშვილს, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს რ. ჰ. კონცელიძეს მოსთხოვა მკვეთრად გააუმჯობესონ სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა კვების ორგანიზაცია, მიიჩნიონ ეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარტიულ დავალებად.

საქართველოს სახტელერადიოს, რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს წინადადება მიეცათ ნიადაგ აუარადღებას უთმობდნენ ბავშვთა საინტერნატო დაწესებულებების მუშაობას, ავლენდნენ ნეგატიურ მოვლენებს, ქმნიდნენ დარღვევებისა და ნაკლოვანებებისადმი საზოგადოებრივი შეურიგებლობის ატმოსფეროს.

დასახულია რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების საქმიანობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებანიც. (ᲡᲐᲙᲘᲜᲤᲝᲠᲛ).

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ სოციალური პასუხისმგებლობა, პროფესიული კომპეტენტურობა და შემოქმედებითი უკუგება საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის განახლების წინაშე — ასეთია სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის 3 დეკემბერს გამართული პლენუმის დღის წესრიგი.

გამგეობის მდივნის, გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ მთავარი რედაქტორის ვ. ვ. ჩიკინის მოხსენებაში, პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ გაზეთებისა და ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის შემოქმედებითი კოლექტივების ამჟამა წარმატებების მიუხედავად, მრავალ პუბლიკაციას ჯერ კიდევ აკლია კომპეტენტურობა, სიღრმე, მებრძოლურობა. პლენუმზე ითქვა, რომ გარდაქმნის გადამწყვეტ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების განახლება მოითხოვს ყოველი ჟურნალისტის უფრო აქტიურ მონაწილეობას გარდაქმნის მეორე, გადამწყვეტი ეტაპის ამოცანათა ორგანიზაციულ, იდეოლოგიურ და ზნეობრივ უზრუნველყოფაში. ამ ეტაპზე გარდაქმნის მატიანეში ჟურნალისტური კოლექტივების წვლილის კრიტერიუმი უნდა გახდეს ადამიანების გუნება-განწყობილებასა და პრაქტიკულ საქმეებზე, შრომითს კოლექტივებში პასუხისმგებლობისა და შემოქმედებითი ინიციატივის ვითარების შექმნაზე, ეკონომიკურ, სოციალურ, სულიერ სფეროებში რეალური ძვრების მიღწევაზე მათი ზემოქმედების შედეგები.

პლენუმმა ყოველი ჟურნალისტის უურადღება მიაპყრო იმას, რომ ისინი უთუოდ ნიადაგ უნდა იძენდნენ ახალ ცოდნას. პლენუმის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების, მუშათა პროფესიული კომპეტენტურობის განუწყვეტელი ზრდა — ეს არის არა ნებაყოფლობითი, არამედ აუცილებელი საქმე, რომელიც ჟურნალისტის პროფესიის არსს წარმოადგენს.

ცლენუმის გადაწყვეტილებით ყველა ძირეულ ჟურნალისტურ ორგანიზაციას დაეკალა გაზარდონ მომთხოვნელობა ჟურნალისტებისადმი მასალების ხარისხისათვის, გაურჩევლად არ დატოვოს სიმართლის დამახინჯების, სამსახურებრივი მდგომარეობის ბორტკად გამოყენების, საბჭოთა ჟურნალისტიკის ნორმების დარღვევის არც ერთი შემთხვევა. სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პროფესიული ეთიკისა და სამართლის საბჭოს დაეკალა შიმუშაოს საბჭოთა ჟურნალისტის ეთიკის კოდექსი, პროფესიული მორალისა და სამსახურებრივი ეთიკის ნორმები, განსაზღვროს სანქციები ამ ნორმების დარღვევისათვის.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე მიხეილ ვ. ნ. სევრუკი. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲘᲛᲡᲯᲔᲚᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲡ წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს მიერ მოწყობილ სასწავლო-მეთოდიკურ შეკრებაზე იმსჯელეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გარდაქმნან საქმიანად იდეოლოგიური პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, სრულყონ და განაახლონ მისი ფორმები და მეთოდები, დაამკვიდრონ სამხედრო კოლექტივებში შემოქმედებისა და პრინციპულობის, მომთხოვნელობისა და შემსრულებლობის ატმოსფერო. შეკრებაზე მოიწვიეს შენაერთების, სასწავლებლების, ოფიცერთა სახლების პროპაგანდისტები, პოლიტორგანოთა უფროსი ინსტრუქტორები, ლექტორები, მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორები და უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრების პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის კურსის მასწავლებლები.

შეკრების მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. კოჩეტოვი, სამხედრო საბჭოს წევრი, ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ლ. გულევიჩი. (ᲡᲐᲙᲘᲜᲤᲝᲠᲛ).

ᲔᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲦᲡᲐᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲖᲛᲘ

ᲓᲣᲛᲘᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲓᲐᲣᲒᲕᲘᲐᲜᲔᲡ

12 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ნომერში რუბრიკით „წერილები კომუნისტს“ დაიბეჭდა პ. აბრამიშვილის კრიტიკული შენიშვნა სათაურით „არის სადგური, სალაროც, მაგრამ...“

ავტორი თავის გულისტკივილს გამოხატავდა, იმის გამო, რომ ორჯონიკიძის რკინიგზის სადგურის სალაროებში მგზავრები — ჩამოსული სტუმარი თუ მასპინძელი — ამაოდ დაიქცევენ სამგზავრო ბილეთებს. ამ მხრივ სიძნელე განსაკუთრებით შორეული მიმოსვლის მატარებლებზე იგრძნობა. არ გვინდა მკითხველს ეგონოს, თითქოს მათ ამის გამო ხელი ჰქონდეთ აღებული მგზავრობაზე. პირიქით, ხელოვნურად შექმნილი ამ დაბრკოლებით შესანიშნავად სარგებლობენ გამყოლები, რომლებიც თავიანთ სამსახურს სთავაზობენ უბილეთო მგზავრებს. ამით პატიოსანი ადამიანები უნებლიეთ უშრომელი შემოსავლის მოყვარულთა ხელშემწყობის როლში გამოდიან.

ნუთუ ამერიკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის ხელმძღვანელობისათვის ასე ძნელია ამის მოგვარება?! გვეკითხება ავტორი და ჩვენც ვიმედოვნებდით, რომ პასუხს დროულად მივიღებდით, მაგრამ...

სამწუხაროდ, ორ თვეზე მეტი გავიდა, ამერიკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ კი გაზეთის სამართლიან შენიშვნაზე პასუხი რედაქციას დღემდე არ აცნობა, რითაც უგულებელყო ამ შემხვეევაში ნორმით დადგენილი ყოველგვარი ვადა.

სოხუმის მ. ორახელაშვილის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში, სადაც ძირითადად ქალები მუშაობენ, არსებულ ნაკლოვანებებზე ამახვილებდა ყურადღებას ჯ. მამისთვალოვა თავის წერილში „სასიკეთო შედეგი არ ჩანს“, რომელიც 30 სექტემბერს დაიბეჭდა რუბრიკით „პარტიული ცხოვრება“. მასში ავტორი კომუნისტური პირუთვნელობით ამხელდა საწარმოში არსებულ ცუდ სამუშაოდ და საყოფაცხოვრებო პირობებს: საამქროში კედლები სანახევროდ ჩამოხეცრეულია, იატაკი ფილებაცვენილი ან ფიცარატეხილია, გასახდელში ანტისანიტარიაა, არაა დასასვენებელი ოთახები, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სამადიოლოს მუ

პარტიული ცხოვრება

ნაკლს თვალი არ უნდა მოვუხუჭოთ

ცხვარ--მეცხვარეს გაუმარჯოსო, ასე ილოცებიან ხოლმე ქსნის ხეობაში. ამ სიტყვებში ჩაქსოვილია სიამაყეც, ზრუნვაც და კეთილი სურვილებიც. ვინ მოთვლის, რამდენ სიძნელესთან არის დაკავშირებული მეცხვარის ცხოვრება. პაპანაქება სიცხეში, კოკისპირული წვიმასა თუ თოვლიან ქარბუქში, წარბშეუხრელად უდგას იგი ცხვარს. მთაში რომ ამოვა, ცოტას მაშინ თუ ამოისუნთქავს, თორემ თითქმის მთელი წელიწადი გასულია ოჯახიდან. დიახ, მეტად მძიმეა მეცხვარის შრომა, მაგრამ იძულებით როდი მიდიან ცხვარში. მისი სიყვარული მთიელ კაცს ძველთაგანვე ძალ-რბილში აქვს გამჯდარი.

— ცხვარს ალიონზე რომ გაშელი და იგი ქულა ღრუბელივით ნელ-ნელა მოედება მწვანედ ახავერდებულ ფერდობებს, მერე ბატკანი რომ შეიკუნტრუშებს და ძუძუზე ჩაუჩოქებს დედას, რა ჯობია ამის ცქერას. — გამახსენდა ამ ოციოდე წლის წინათ ქარჩოხელი მწყემსის იოსებ პაპალიაშვილის ნათქვამი სიტყვები.

ამ დღეებში ქარჩოხში რომ ავედი, მაშინვე იოსები მოვიკითხე...

— მუხლი მღალატობს, ყიზლარს ვეღარ დავდივარ, — გულდაწყვეტით მითხრა მან. — მერე რა დროს! ახლა ცხვარ-მეცხვარეს ჩინებული პირობები აქვთ. ყოველი ფარისათვის ცალკე „სასახლე“ ააგო ჩვენმა ბორისმა და მდიდრულად მოაწყო, რა გინდა სულო და გულო. ახლა ფარეხები და საჩვილე-საბატკნეები ნახეთ, კაცის მადლი ადევს. სოფელმაც მოიხედა, კაცდღის ღირებულებამ შვიდ მანეთს დადამეტა. ჩვენ რომ ფეხზე დაგვაყენა, რაიონში წაიყვანეს, დაიწინაურეს...

იმ დღეს თბილისიდან მოვიდნენ, თქვენს ყოფილ თავმჯდომარეს უჩივიანო, თქვეს. გული დამწყდა, მადლობის მაგივრიათმეთქი. იძიეს, იკვლიეს და არაფერი არ დადასტურდა. ანდა რა დანაშაული ჰქონდა, რა უნდა დადასტურებულიყო. ალბათ ვიღაცას საერთო საქმის ღალატი არ ეპატია და ახლა განაწყენებული ზურგიდან ტალახს ესვრის.

— საკმაოდ მოზრდილი წერილი ჩვენთანაც გამოგზავნეს — მეცხვარეები არაფერს ვფიქრობთ, ვალებში ვიღრჩობით, საბალახოზე ყოველ ათ სულში ერთ სულს გვართმევენ, ხელფასი, პრემიები, შვებულების ფული შვიდი წელია თვალით არ გვინახავსო, ჩივიან-მეთქი.

— ვაი, სირცხვილო, როგორ გვჭრის თავს ვიღაც ნაძირალა. რას იფიქრებდნენ „კომუნისტის“ მუშაკები, მაგ წერილს რომ წაიკითხავდნენ.

— ვიღაცა კი არა, ვიღაც-ვიღაცეები, წერილს ცამეტი კაცი აწერს ხელს, შევუსწორე.

— არ დაიჯეროთ ეგ. ერთის ნამოქმედარიაო, გაბრაზდა იოსები. თანაც, რაც წერია, ყველაფერი ტყუილიაო, დასძინა მოკრიფ...

— ყველას ვესაუბრე, ვისი გვარიც კი იყო დამოწმებული ბალაანის ჯოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის ბორის ელოშვილის მიმართ დაწერილ-საჩივარში. ყველამ უარყო ხელმოწერა და აქო ყოფილი ხელმძღვანელი: სოფელი წინ წაიყვანა, მადლობის მეტი რა გვეთქმისო...

საბუღალტრო დოკუმენტებშიც ჩავიხედე: იმ შვიდი წლის მანძილზე, რაც კოლმეურნეობას ბორის ელოშვილი ხელმძღვანელობდა, თითქმის ერთიორად გაზრდილა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა. იმატა თხა-ცხვარმა, ხორცისა და რძის წარმოებამ. წმინდა მოგებამ 1.720 ათასი მანეთი შეადგინა. ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა საოლქო თუ რესპუბლიკურ სოცშეჯიბრებაში.

აკი არც დარჩა შეუმჩნეველი მისი თავდადებული შრომა: ბორის ელოშვილი რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარედ დაწინაურეს, ახლახან კი პარტიის რაიკომის მდივნად აირჩიეს. იგი აქაც ჩვეული ენერგიით და პასუხისმგებლობით იღვწის, მაგრამ ამაზე სხვა დროს, ახლა კი ისევ ბალაანს დავუბრუნდეთ.

სამწუხაროა მხოლოდ ის კი არ არის, რომ ერთმა ცილისმწამებელმა ასე მოსცხო ჩირქი ყველას, არამედ ის, რომ მთის ამ ლამაზ სოფელში, სადაც ერთმანეთს დაბადებიდან იცნობენ და იციან, ვინ რითი სუნთქავს, შენიღბული რჩება სოფლის შემარცხვენელი, ანონიმური წერილების წერა პირველ საქმედ რომ გაუხდია და თავისი უმეცრებით მშრომელ კაცს გულს უცრუებს, უიმედოებასა და ღვარძლს თესავს სოფელში, თან შორიდან ქირქილებს.

აი, სად იჩინა თავი მასებთან ცოცხალი პარტიულ-ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტემ და თვითდინებაზე მიშვებამ. პარტიულ კრებებზე ჯერ კიდევ მოისუსტებს კრიტიკა და თვითკრიტიკა. ზოგიერთ კომუნისტს აკლია პრინციპულობა და პირდაპირობა, ეს კარგად ჩანს პარტიული კრებების ოქმებიდანაც. ამასთანავე კომუნისტთა სიტყვებში არ იგრძნობა ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო. მათ გამოსვლებში არ ჩანს მთიელი კაცის ჯანმრთელი, შეუპოვარი, ბობოქარი სული. არადა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, აქაურ კომუნისტებს ამის მაგალითი თვით პარტიული კომიტეტის წევრებმა, ხელმძღვანელმა ამხანაგებმა უნდა მისცენ, ისინი ხომ ზშირად ესწრებიან მათს კრებებს.

საკვირველია, აგერ სამი-ოთხი წელია ბალაანიდან საჩივარი საჩივარზე მიდის ზემდგომ ორგანოებში, სერიოზულ ბრალდებას უყენებენ ყოფილ თავმჯდომარეს ბორის ელოშვილსა და სხვა ხელმძღვანელებს, მაგრამ ცილისმწამებლებს არავინ ეძებს. ამიტომაც გათამამდნენ და წერენ რაც კი ენაზე მოადგებათ. — „ნუთუ რესპუბლიკაში ერთი კომპეტენტური შემმოწმებელი არ გაყვთო, რომ ჩვენი მდგომარეობა ფულზე არ გაიყიდოს და ნაწილდვილე მოიტანოს თქვენამდეო... წერენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის პროკურატურასა და სხვა ზემდგომ ხელმძღვანელ თუ მაკონტროლებელ ორგანოებს.

მოვიდნენ, ადგილზე შეისწავლეს ყოველივე, მაგრამ საგანგებო ვერაფერი ნახეს. მოცდა ხალხი, დაიკარგა ძვირფასი დრო.

ახლა ჩვენ ვეკითხებით ბალაანის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს ელიზბარ კარელიძეს, ქარჩოხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ჯუმბერ ბალხამიშვილს, ბალაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გაიოზ თინიკაშვილს, პარტკომსა და კოლმეურნეობის გამგეობას, სასოფლო საბჭოს აღმასკომის წევრებს, რატომ არიან ინერტულნი? რატომ გამოდიან სეირის მაყურებლის როლში?

თავს ვერც პარტიის ლენინგორის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომისა და საგამძიეო ორგანოების მუშაკები გიმართლებენ. ერთობლივი მიზანსწრაფული მოქმედებაა საჭირო. იქნებ საქმისთვის სასარგებლო ყოფილიყო სოფლის ყრილობის მოწვევა, იქნებ ხალხის ხმას ჭკუაზე მოეყვანა სოფლის შემარცხვენელი!

რა მდგომარეობაა დღეს ბალაანის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში? სამწუხაროდ, ნელ-ნელა თმობს იგი მიღწეულ წარმატებებს, რომლებიც საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში მოიპოვა. ასე ითქვა პარტიის ლენინგორის რაიკომის პლენუმზე. ასეთივე აზრი გამოიკვეთა კოლმეურნეობის საბრიგადო პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო კრებებზეც. ისიც თქვეს, ახალ თავმჯდომარეს გაიოზ თინიკაშვილს საკმაო გამოცდილება აქვს, მაგრამ პრობლემების დადასაჭერად პრაქტიკული გამოცდილება არ ჰყოფნისო.

კოლმეურნეობის თავკაცებმა წლევანდელი წარუმატებლობა ძირითადად სტიქიას გადააბრალეს. მართალია, წელს ყიზლარშიც არ იყო ხელსაყრელი ამინდები. უბალახობამ და გრძელმა ზამთარმა ცხვარი დაასუსტა. იალაღებისაკენ მიმავალ ფარებს ჯვრის უღელტეხილზე სტიქიამ 1200 სული ცხვარი აზარალა. წყალდიდობამ ჩახერგა მთებში მიმავალი გზები, დაანგრია ხიდები, საკვების შესანახი ფარდულები, მწყემსთა სადგომები, მაგრამ ბინც თამამად შეიძლება ითქვას, რომ გონივრული ხელმძღვანელობა და ადამიანთა ორგანიზებულობა საგრძნობლად შეამცირებდა ზარალს.

ეს აზრი ნათლად გამოიკვეთა იმ დღეს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე, რომელსაც კომუნისტებთან ერთად სოფლის სხვა გულშემატკივარნიც ესწრებოდნენ, კრებას კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში საქმის მდგომარეობის საფუძვლიანად განალიზებისათვის კარგი ტონი მისცა პარტიული კომიტეტის მდივნის ელიზბარ კარელიძის მოხსენებამ და რაიონის აგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილის ტრისტან ჩაბოშვილის გამოსვლამ.

როგორ ვითარდება საზოგადოებრივი მეურნეობა, რა ხარვეზებია და როგორ უნდა აღმოიფხვრას ისინი? ეს საკითხი აინტერესებდა ყველას, კოლმეურნეობას ამჟამად საგეგმო 20 ათასი სულის ნაცვლად 21.425 სული თხა-ცხვარი ჰყავს. მაგრამ დასუსტებული ცხვარი იღუპება, სულადობის გეგმას საფრთხეს უქმნის. იმის გამო, რომ ცხვრის წველა იალაღებზე ორგანიზებულად ვერ მოაწყვეს, ტონობით ყველი დაიკარგა, კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის დავალება, ხორცის მიყიდვის გეგმაც ჩაშალა. მატყლის გამოსავლიანობაც ნაკლებია და მისი დამზადების გეგმის შესრულებაც საეჭვოა.

კომუნისტებმა წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად ისიც დასახელეს, რომ მეცხვარეობის საზოგადოებრივ ფარებში გაიზარდა დაქირავებულ მწყემსთა რაოდენობა, რაც მძიმე ხარჯად აწევს კოლმეურნეობას. დაქირავებულ მწყემსს ოღონდ ცხვარი არ დააკლდეს და, თავისი 400 მანეთი ყოველდღიურად განაღდებული აქვს. მას არც ცხვრის კონდიციურობის ამაღლება ადარდებს, არც ბატკნის სამრავლე და არც ბარაქიანი ნაპარსი. ადგილობრივი მწყემსი კი ზოგჯერ ბუნების ჸირვეულობის გამო ხელმოცარული რჩება. მას ეკარგება ხალისი, რადგან ერთნაირ პირობებში დაქირავებული მწყემსი ადგილობრივზე მეტს იღებს.

რა კეთდება კოლმეურნეობაში დაქირავებულ მწყემსთა რაოდენობის შესამცირებლად, ამისათვის, რომ ახალგაზრდებმა აირჩიონ მწყემსის ძნელი პროფესია და განაგრძონ უფროსთა დაწყებული საქმე? ამის თაობაზე კრებაზე არაფერი თქმულა.

კარგი იქნება, თუ ბალაანელები მიბაძავენ ლარგისელებს. აქ მატერიალური თუ მორალური სტიმულირების უნარიანი გამოყენებით შეძლეს ახალგაზრდობის მიზიდვა ცხვარში. ლარგისში ტრადიციად იქცა — სამუალო სკოლის კურსდამთავრებულები ერთიანად ადგებიან მამა-პაპათა ვაჟკაცურ გზას, ბალაანში კი არავინ ფიქრობს ამ მხრივ ახალგაზრდობაში საგიტაციო-მასობრივი და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაშლაზე. ამიტომ არის, რომ დაქირავებულ მწყემსთა რიცხვი იზრდება. თაობათა ცვლის განსაკუთრებული ყურადღება თუ არ მიექცა, გავა დრო და ცხვარს პატრონი აღარ ეყოლება. ამაზე უნდა დაფიქრდეს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ცხვარ-მეცხვარე.

ეფიქრობთ, ამ პრობლემის მოგვარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შრომის ანაზღაურების ახალი დებულება, რომელიც პარტიულმა კომიტეტმა და კოლმეურნეობის გამგეობამ ჯერჯერობით სათანადოდ ვერ მიმიყვენს, არ იზრუნეს საიჯარო შრომის ფართოდ დანერგვისათვის, არადა, ყოველივე ეს უთუოდ საჭიროებს ANONIMURI წერილისა და პარტიული კრების ირგვლივ

▲▲

ანის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში? სამწუხაროდ, ნელ-ნელა თმობს იგი მიღწეულ წარმატებებს, რომლებიც საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში მოიპოვა. ასე ითქვა პარტიის ლენინგორის რაიკომის პლენუმზე. ასეთივე აზრი გამოიკვეთა კოლმეურნეობის საბრიგადო პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო კრებებზეც. ისიც თქვეს, ახალ თავმჯდომარეს გაიოზ თინიკაშვილს საკმაო გამოცდილება აქვს, მაგრამ პრობლემების დადასაჭერად პრაქტიკული გამოცდილება არ ჰყოფნისო.

კოლმეურნეობის თავკაცებმა წლევანდელი წარუმატებლობა ძირითადად სტიქიას გადააბრალეს. მართალია, წელს ყიზლარშიც არ იყო ხელსაყრელი ამინდები. უბალახობამ და გრძელმა ზამთარმა ცხვარი დაასუსტა. იალაღებისაკენ მიმავალ ფარებს ჯვრის უღელტეხილზე სტიქიამ 1200 სული ცხვარი აზარალა. წყალდიდობამ ჩახერგა მთებში მიმავალი გზები, დაანგრია ხიდები, საკვების შესანახი ფარდულები, მწყემსთა სადგომები, მაგრამ ბინც თამამად შეიძლება ითქვას, რომ გონივრული ხელმძღვანელობა და ადამიანთა ორგანიზებულობა საგრძნობლად შეამცირებდა ზარალს.

ეს აზრი ნათლად გამოიკვეთა იმ დღეს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე, რომელსაც კომუნისტებთან ერთად სოფლის სხვა გულშემატკივარნიც ესწრებოდნენ, კრებას კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში საქმის მდგომარეობის საფუძვლიანად განალიზებისათვის კარგი ტონი მისცა პარტიული კომიტეტის მდივნის ელიზბარ კარ-

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

კაცობრიობის გადარჩენისათვის

თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის აქტუალურ პრობლემებს, მისი შემოქმედებითი, ნოვატორული ხასიათის ანალიზს ეძღვნება მონოგრაფია „აკობრიობის გადარჩენის სტრატეგია სკკპ XXVII ყრილობა და მშვიდობისათვის ბრძოლა“.

ყრილობის გადაწყვეტილებების, ფართო წრის დოკუმენტებისა და მასალების საფუძველზე ამ წიგნში ნაჩვენებია ცივილიზაციის გადასარჩენად ბირთვულ საუკუნეში ახალი პოლიტიკური აზროვნების დამკვიდრებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სოციალისტური თანამეგობრობის მომძლე პარტიების, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლის ძირითადი მიმართულებები, ნორმები და მეთოდები.

წიგნი მომამზადა სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

▼▼

საიუბილეო სესია

გ. მ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების 60 წლისთავს მიეძღვნა საიუბილეო სესია. ქართველი კოლეგებისათვის ღირსშესანიშნავი თარიღის მოსალოცად ჩამოვიდნენ ქვეყნის თვალსაჩინო მედიკოსები.

ინსტიტუტის ჩამოყალიბების ისტორიის, სანიტარიისა და ჰიგიენის დარგში რესპუბლიკის სპეციალისტთა მეცნიერული საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ზ. აბდუშელიშვილმა.

თბილისის კვების პროდუქტებისა და სასმელი წყლის კვლევის საქალაქო ლაბორატორიის ბაზაზე შექმნილი ინსტიტუტი რესპუბლიკასა და ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო დაწესებულება გახდა.

წლების მანძილზე აქ შექმნილ სამეცნიერო გამოკვლევებს, წინადადებებსა და რეკომენდაციებს ფართოდ ნერგავენ სახალხო მეურნეობაში. მათი მთავარი მიზანია დაიცვან ჰაერი და წყალი ბინუნებისაგან, ავტოტრანსპორტისა თუ დიდი სამრეწველო საწარმოების გამონაფრქვევებისაგან. ინსტიტუტს კონტაქტები აქვს საფრანგეთის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის და სხვა ქვეყნების მეცნიერებთან.

სახალხო მეურნეობა

ეროვნული ეკონომიკა

წარმატებას განსაზღვრავს ერთიანი ძალისხმევა

△ ზამთრის საცავებში საიმედოდ დაბინავდა ჰირნახული △ მუშაობის მკაცრი შემფასებელია მოგხმარებელი △ ორიენტირია უნარჩენო ტექნოლოგია.

ყლევანდელმა უამინდობამ გააძნელა ხვნა-თესვა, ნათესების დამუშავება, მოსავლის დაბინავება. ამინდმა განსაკუთრებით იმოქმედა ხილბოსტნეულის წარმოებაზე. მის ზარისხზე. ეს გამოიკვეთა მოსავლის აღება-დაბინავების დროს. მაგალითად, ხახვი გარეგნულად თითქოსდა საღი და ვარგისი იყო, სინამდვილეში ყელის სისველის გამო ადვილი ულპებოდა და ამიტომ ხანგრძლივი შენახვისათვის არ გამოდგებოდა. ნიორსაც და სტაფილოსაც ავადმყოფობა გაუჩნდა. კომბოსტომ თავი ვერ დაიზღვია. ხშირმა წვიმებმა და გვალვებმა კარტოფილიც დააზიანა. საკმარო შეიქმნა საგანგებო ზომების მიღება, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ და სახაგრომრეწვმა ყველაფერი იღონეს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ შეესყიდათ ან გაეცვლითი წესით შემოეტანათ ზამთრის მარაგის შესავსებად ეს მეტად საჭირო პროდუქტები.

ამ ვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა დიდი ჯაფით მოწეული მოსავლის უდანაკარგოდ აღებას.

ლიღოს ხილბოსტნეულის შესანახი, გადასამუშავებელი და სარეალიზაციო კომბინატის ახალ ხელმძღვანელობასაც (დირექტორი — შ. ლომიძე, პარტბიუროს მდივანი — ლ. დაუშვილი, ადგილკომის თავმჯდომარე — რ. გოგია) ბევრი საზრუნავი და მოსაგვარებელი საქმე ჰქონდა წლების განმავლობაში ზარალიანი საწარმოს გასამართავად, მისი კაპიტალური რემონტისათვის, ამორტიზებული დანადგარების შესაცვლელად. კონკრეტულად რომ ვთქვათ, საწარმოში წვიმა ჩამოდიოდა, ეზო-კარიდამო აყრილ-ატალახებული იყო, კანალიზაციის, შენაცვრო-საკვებტილაციო და სხვა კომუნიკაციები წესრიგში იყო მოსაყვანი. არადა, იოლი საქმე როდია 80 ათას ტონამდე კარტოფილის და ბოსტნეულის მიღება, გადარჩენა და საიმედოდ შენახვა, როცა საცავები მოსაწესრიგებელია. ამ საქმეს კარგად გაართვა თავი კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ვიტალი ჭკადუამ, რომელსაც აქაური ხელმძღვანელობა ემადლიერება გამრჯეობისათვის.

ისიც აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით პროდუქტების მიღება-დაბინავება უმთავრესად ხდებოდა ორგანიზებულად, უხმაუროდ, წარმოების მუშების, სპეციალისტების, პროდუქტების მწარმოებელი მეურნეობების და დამამზადებლების დაუზარელი შრომით და ერთიანი ძალისხმევით. კარგად იმუშავა აგრეთვე ხარისხის განმსაზღვრელმა კომისიამ, რომელსაც სახაგრომრეწვის კარტოფილისა და ხილბოსტნეულის შენახვის განყოფილების უფროსი ვ. მზეიძე ხელმძღვანელობდა.

იყო წინააღმდეგობებიც. ბევრი მომწოდებელი გეგმის შესასრულებლად არაფერს თაკილობდა, უხარისხო პროდუქცია შემოჰქონდა, მაგრამ თავისი ვერ გაჰქონდა. ზოგს მიეთითა, ზოგი საჯაროდ გაიკიცხა, ბევრი დაისაჯა კიდეკაც, საქმემაც წინ წაიწია.

საცავებში ხაიმედოდ დაბინავდა 15.639 ტონა ხახვი, — საგეგმო დავალებაზე 639 ტონით მეტი. 37.000 ტონის ნაცვლად შენახულია 37.725 ტონა კარტოფილი, საკმაო რაოდენობის ნიორი, სტაფილო, სუფრის ჭარხალი და კომბოსტო, რაც 6 თვის განმავლობაში (დეკემბრიდან მაისის ჩათვლით) ჰყოფნით თბილისისა და რუსთავის მშრომელებს, აგრეთვე საკურორტო ზონის დამსვენებლებსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებს.

ახლა კი ყოჩაღობენ ტექნიკური და ტექნოლოგიური სამსახურის მუშაკები, სპეციალისტები. ყოველ წამ-წუთს აკონტროლებენ საკნებში ტემპერატურის რეჟიმს, ავტომატურ დანადგარებს უმაო „მკურნალობენ“. ყოველივე ამას ხელმძღვანელობს სასაწყობო მეურნეობის უფროსი ლ. შარაშენიძე, რომელიც პასუხისმგებელია წლის მონაგრის მოვლა-პატრონობისათვის.

და მაინც, არ შეიძლება პროდუქტების ხარისხი ნაწილობრივ მაინც არ დაქვეითდეს. პროდუქტების წახდენა საზარალოა კომბინატისათვისაც და მომხმარებლისთვისაც. ქვეყნის დიდი სამრეწველო ქალაქების საცავებში, სადაც უფრო დაბალი ტემპერატურაა, ვიდრე ავტოინსპექციების პასუხისმგებლობასა და კონტროლს.

— ხალხში ხმა გავრცელდა, თითქოს ის, ვინც ამოწმებს ავტომანქანის ტექნიკურ გამართულობას და წყვეტს პატენტის გაცემის საკითხს, მდგომარეობით სარგებლობს და გამოძალვას ეწევა. ზოგი კი უკმაყოფილოა, მძღოლები ძვირს გვახდევინებენო. ადმინისტრაციულ ორგანოს ხომ არ გამოუვლენია გამომძალველი და კანონის დამრღვევი?

— რაკი ხმა დაირხა, ალბათ, უსაფუძვლო არ არის. ჯერჯერობით სამხილი ფაქტი არა გვაქვს. საერთოდ მგზავრისა და მძღოლის გარიგება წინასწარ უნდა მოხდეს. პრაქტიკაში მრიცხველები თუ დაინერგება, მით უკეთესია, მხოლოდ გათვალისწინებული უნდა იყოს ავტომანქანის ამორტიზაციისა და საწვავის ღირებულება. მინისტრთა საბჭომ ბრიგადები მიავლინა რაიონებში. ისინი ეხმარებიან საკითხების გარკვევაში, ამოწმებენ პატენტებისა და ნებართვების გაცემას.

— იქმნება კოოპერატივები, რომელთაც კურირებენ სამინისტროები და უწყებები. მაგრამ არ არსებობს ერთიანი, მაორგანიზებელი და მაკონტროლებელი ორგანო. აზრი გამოთქვა, რომ შეიქმნას რაღაც ინსპექცია ან ქვეგანყოფილება, რომელიც იკისრებს დახმარებისა და კონტროლის ფუნქციებს. თქვენ რას იტყვით ამაზე?

— წინადადება მისაღებია. კოოპერატივები ბევრ სიძნელეებს აწყდებიან, ადვილად ვერ მიიკვლევენ გზას. რაც გაკეთდა, ჯერჯერობით წვეთია ზღვაში. პირდაპირ ვიტყვი, სამინისტროები და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სუსტად მუშაობენ, აუცილებელია საქმეს ერთი პატრონი, წარმმართველი და მაორგანიზებელი ჰყავდეს. მაშინ პასუხისმგებლობაც გაიზრდება და მომთხოვნელობაც.

— როგორც თქვენ ბრძანეთ, გაკეთებული ჯერ ზღვაში წვეთია. როგორია უახლოესი ამოცანები?

— კანონი უნაკლოდ უნდა შესრულდეს. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა. სამინისტროებსა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს გადაწყვეტილებები მიღებული აქვთ, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიუყვანიათ. როგორც ჩანს, ჩვენც მოვაკელით ხელი. მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე რეგულარულად განვიხილავთ კოოპერატივების შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებს. როგორც ვთქვი, ნეგატიურმა მოვლენებმაც იჩინა თავი. ამ მიმართულებით ჩვენც გავამახვილებთ ყურადღებას, გავამკაცრებთ მომთხოვნელობას.

სამეურნეო ანგარიშზე დაყრდნობით

უდიდესი შთაგონებით შეხვდა ჩვენი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი წერილს, რომლითაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა მექანიზატორებს, სამეურნეოანგარიშიანი სიჯარო კოლექტივების ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა შრომითს კოლექტივს.

ჩვენს მრავალდარგოვან საბჭოთა მეურნეობაში ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა ეკონომიკის განმტკიცების, მისი რენტაბელობის ზრდისათვის,მაგალითად, მეურნეობის ხელმძღვანელობის ინიციატივით ყველა შეეგნახეთა ბრიგადა გადავიდა იჯარაზე. სამეურნეო ანგარიში დაინერგა მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში, ამის შედეგად, ამინდის პირობების მიხედვით ერთობ ჭირვეული წელს, ყოველ ჰექტარზე მოვიწეიეთ 65 ცენტნერი ყურძენი, გეგმით გათვალისწინებული 58 ცენტნერის ნაცვლად.

კარგად იმუშავეს სხვა ქვეგანაყოფებმაც. ჩვენმა მექანიზატორთა ბრიგადამ შეასრულა ხორბლის დამზადების გეგმა, ხოლო მზესუმზირა მოვიწეიეთ ჰექტარზე 15 ცენტნერი — გეგმით გათვალისწინებულზე ორჯერ მეტი. წარმატებას მივაღწიეთ საკვების წარმოებაშიც. მოვიმარაგეთ დასახულზე 300 ტონით მეტი უხეში საკვები.

დიდმა მოგებამ, რომელმაც შარშან 550 ათასი მანეთი შეადგინა, წელს კი გაანგარიშებით 600 ათასს მიაღწევს, შესაძლებლობა მოგვცა საკუთარი საჭიროებებისათვის გვეზრუნა: მოვაწყვეთ სამუშაო ეზო, ავაშენეთ ბრიგადირის სახლი...

ეს და სხვა ცვლილებები რეალურ პირობებს გვიქმნის სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობის შემდგომი ზრდისათვის, გაისად, მაგალითად, განზრახული გვაქვს მარცვლოვანთა მოსავლიანობა ჰექტარზე 35-40 ცენტნერამდე გავზარდოთ, გავადიდოთ ვენახების, საკვები მიდვრების, მეცხოველეობის ფერმების უკუგება.

ივანე ალექსაშვილი,
სოციალისტური შრომის გმირი, საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადირი. (საქინფორმი).

.სასურსათო პროგრამა მოქმედებს

„მწვანე კვალი“ — ამ სახელწოდების მაღაზია გაიხსნა ოჩამჩირეში.. აქ იყიდება პროდუქცია, რომელიც მოწეულია კინდღის თერმული წყლებით მომუშავე სასათბურე საბჭოთა მეურნეობა-კომბინატში.

მარტო წელს თერმული წყლებით გათბობის მეშვეობით მოიწიეს 420 ტონა ბოსტნეული და მწვანილი, დეკემბრის დამლევისათვის ეს მაჩვენებელი კიდევ 30 ტონით გაიზრდება.

სურათებზე: კინდღის სასათბურე საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის საფირმო მაღაზია „მწვანე კვალი“ ოჩამჩირეში. აქ პირდაპირ სათბურებიდან მოაქვთ ახალი ბოსტნეული და სუფრის მწვანილი; თერმული წყლებით მოწეულ კიტრს კრეფენ მესათბურეები ირინე კარხალავა (წინა პლანზე), ნადეჟდა კონჯარია და სვეტლანა ცერედიანი.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სოციალური სფერო

რა უჭირთ და ულხინთ კოოპერატივებს?

კანონი „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ ძალაში შევიდა 1987 წლის პირველი მაისიდან. მისი განხორციელება პარტიის ერთ-ერთი ღონისძიებაა გარდაქმნის გზაზე. როგორ მიდის ეს დიდი სახელმწიფოებრივი საქმე აჭარაში? ამაზე ესაუბრა „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი მ. გორგილაძე აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ბუგუნავას.

— კანონის განსახორციელებლად ამ ხნის მანძილზე აჭარაში ბევრი რამ გაკეთდა, — თქვა მან. ჩვენი მიზანი იყო ამ საქმის განვითარების არ გამოეწვია შრომითი რესურსების დენადობა საზოგადოებრივი წარმოებიდან, პირველ რიგში დაგვესაქმებინა ომისა და შრომის ვეტერანები, ინვალიდები, დისახლისები. ასეც მოვიქეცით. ისინი ჩავაბით სახელმეკოლები ურთიერთობაში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ჩვენს საქმიანობაში მთავარი საზრუნავი გახდა კოოპერატივებისათვის გამოგვეძებნა ბინები, მატერიალური და ფინანსური საშუალებები, დაგვეკავშირებინა ისეთი საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებთანაც გააფორმებდნენ ხელშეკრულებას და მიიღებდნენ დახმარებას. განხორციელდა სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებები. განვლილ დროში შეიქმნა 137 კოოპერატივი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით 15 ცენტნერი — გეგმით გათვალისწინებულზე ორჯერ მეტი. წარმატებას მივაღწიეთ საკვების წარმოებაშიც. მოვიმარაგეთ დასახულზე 300 ტონით მეტი უხეში საკვები.

— ორგანიზებულად თუ იყიდება აჭარაში კოოპერატივების მიერ გამოშვებული პროდუქცია?

— მომხმარებლის მოწონება დაიმსახურა კოოპერატივმა „დაისმა“, რომელსაც ქსოვილეთა ამარაგებს ბათუმის სამკერვალო გაერთიანება. კოოპერატივი კერავს ქალისა და მამაკაცის ელეგანტურ ტანსაცმელს. მისი პროდუქციის გასაყიდად უნივერმაღში გამოყოფილია სექცია. მზადდება როგორც წმინდა შემოქმედებითი, ასევე შინამრეწველური პროდუქცია, რომელთა ნახევარიც არ ფუნქციონირებს. საკმაოდ დიდხანს გრძელდება საორგანიზაციო პერიოდი. მთის რაიონებში არ ჩქარობენ. იმიზეზებენ შესაფერისი ბინების უქონლობას. კოოპერატივების ამოქმედება ყველგან უნდა დაჩქარდეს. მარტო ის რა ბევრისმომქმელია, რომ მოქმედი კოოპერატივების ნავაჭრმა თანხამ ბოლო 2 თვეში 106,6 ათასი მანეთი შეადგინა.

— ორგანიზებულად თუ იყიდება აჭარაში კოოპერატივების მიერ გამოშვებული პროდუქცია?

— მომხმარებლის მოწონება დაიმსახურა კოოპერატივმა „დაისმა“, რომელსაც ქსოვილეთა ამარაგებს ბათუმის სამკერვალო გაერთიანება. კოოპერატივი კერავს ქალისა და მამაკაცის ელეგანტურ ტანსაცმელს. მისი პროდუქციის გასაყიდად უნივერმაღში გამოყოფილია სექცია. მზადდება როგორც წმინდა შემოქმედებითი, ასევე შინამრეწველური პროდუქცია, რომელთა



კოლმეურნეობების წევრთა და მათი ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

საქა XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის დონის თანდათანობით დაახლოების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 3 დეკემბრის ბრძანებულებით კოლმეურნეობების წევრებსა და მათს ოჯახებს მოემატათ მინიმალური ოდენობა პენსიებისა, რომლებიც დანიშნათ „კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიხედვით.

მოხუცებულობის პენსიის მინიმალური ოდენობა თვეში იქნება 40 მანეთი, ხოლო პენსიებისა, რომლებიც სულ ცოტა 10 წელია გაიცემა, — 50 მანეთი.

შრომითი სახიჩრობისა თუ პროფესიული დაავადების შედეგად ინვალიდობის პენსიების მინიმალური ოდენობა დგინდება: I ჯგუფის ინვალიდობის მიხედვით — თვეში 75 მანეთი; II ჯგუფისა — 40 მანეთი, პენსიებისა, რომლებიც სულ ცოტა 10 წელია გაიცემა, — თვეში 30 მანეთი.

საერთო დაავადების შედეგად ინვალიდობის პენსიების მინიმალური ოდენობა დგინდება: I ჯგუფის ინვალიდობის მიხედვით — 75 მანეთი; II ჯგუფისა — 40 მანეთი, პენსიებისა, რომლებიც სულ ცოტა 10 წელია გაიცემა, — თვეში 50 მანეთი.

კოლმეურნეთა ოჯახებს პენსიების მინიმალური ოდენობა უდგინდებათ: ოჯახის სამი ან მეტი შრომისუუნარო წევრისათვის — 75 მანეთი; ოჯახის ორი შრომისუუნარო წევრისათვის — 40 მანეთი, პენსიები, რომლებიც სულ ცოტა 10 წელია გაიცემა, — 50 მანეთი; ოჯახის ერთი შრომისუუნარო წევრისათვის — 25 მანეთი, პენსიებისა, რომლებიც სულ ცოტა 10 წელია გაიცემა, — თვეში 28 მანეთი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამოქმედდება 1988 წლის 1 იანვრიდან.

ქმედითობა

მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში

„კომუნისტის“ კრიტიკულ გაფრთხილებას უპასუხებს საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველო

გაზეთ „კომუნისტში“ 15 სექტემბერს დაიბეჭდა კრიტიკული შენიშვნა **„ხმაური... წესრიგისათვის?!“**, რომელშიც საუბარი იყო ავტოინსპექციის მუშაკთა მიერ სპეციალური ავტომანქანის სირენისა და რეპროდუქტორის არადანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი **რ. გვენცაძე** გვატყობინებს:

შენიშვნები სამართლიანია. საბოლოოდ, ზოგიერთი ჩვენი მუშაკი ცალკეულ შემთხვევებში ავტომანქანის სირენასა და რეპროდუქტორს იყენებს ისეთ დროს, როცა მისი გამოყენება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს.

აღნიშნული საკითხი განვიხილეთ როგორც სახელმწიფო ავტოინსპექციის, ისე სხვა სამსახურების პირად შემადგენლობასთან ერთად, თითოეული მუშაკი, რომელიც სპეციალური ტექნიკით აღჭურვილ ავტომანქანას მართავს, ჭკაცრად გავაფრთხილეთ, რათა შემდგომში მხოლოდ დანიშნულებით და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ სირენა და რეპროდუქტორი.

მდგომარეობა გამოსწორდა

„კომუნისტის“ კრიტიკულ გაჭოსლას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიონული კომიტეტი

„მეზობლად პოლიტსწავლება დაავიწყეთ“ — ამ სათაურით 6 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული შენიშვნა, რომელიც პოლიტსწავლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით არსებულ ნაკლოვანებას შეეხებოდა.

აღნიშნულ პუბლიკაციაში დასმულ საკითხებზე რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ჯიქურაშვილი.**

შემოწმებისას წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ცხრამუხის სასოფლო საბჭოში დასაქმებულია 4 მუშაკი, მათ შორის 1 კომუნისტი, რომელიც საბჭოთა მეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაშია აღრიცხვაზე. მეურნეობის პარტიბიუროს დროულად ვერ უზრუნველყოფ საბჭოს მუშაკთა ჩაბმა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემაში.

დღეისათვის მდგომარეობა გამოსწორებულია. ორგანიზებულია ყველა მუშაკის სწავლება, ამასთან ერთად ხელახლა შევამოწმეთ სხვა სასოფლო საბჭოებში თანამშრომელთა პოლიტსწავლების საკითხი.

მეცადინეობის მიმდინარეობისადმი დაწესებულია სისტემატური კონტროლი.

ᲓᲦᲔᲡ დაბადების 80 წელი უნდა შესრულებოდა ცნობილ საბჭოთა ფიზიკოს-თეორეტიკოსს, საქართველოში თეორიული ბირთვული ფიზიკის ფუძემდებელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ ვაგან ივანეს ძე მამასახლისოვს.

მეტად რთული, ძიებებით აღსავსე, საინტერესო და ნაყოფიერი იყო მეცნიერის მთელი ცხოვრება. თვითონ უაღრესად პუნქტუალური, შრომისმოყვარე და დიდი ენთუზიაზმის პატრონი, მეტად მომთხოვნი იყო კოლეგებისა თუ აღსაზრდელების მიმართ. ვ. მამასახლისოვი თბილისში დაიბადა 1907 წელს. 19 წლისა იგი ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საიდანაც მასწავლებლების რჩევით გადავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1930 წელს დაასრულა. ამავე წლიდან ვ. მამასახლისოვი ლექციებს კითხულობდა თბილისის ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში უმაღლეს მათემატიკასა და თეორიულ მექანიკაში. სწორედ ამ პერიოდში აღძრა დიდი ინტერესი თეორიული ფიზიკისადმი, და როცა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკისათვის გამოიყო ადგილები ასპირანტურაში ქვეყნის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში, ვ. მამასახლისოვი გაგზავნეს ლენინგრადის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, სადაც მან პროფესორ მ. ბორნშტეინის ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა თეორიულ ბირთვულ ფიზიკაში.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ვ. მამასახლისოვმა დაიცვა დისერტაცია. მას შესთავაზეს, რომ დარჩენილიყო ლენინგრადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექციების წასაკითხავად, მაგრამ ვ. მამასახლისოვმა სამშობლოში დაბრუნება არჩია. იგი მუშაობას შეუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1937 წელს აირჩიეს თეორიული ფიზიკის კათედრის გამგედ, რომელსაც განაგებდა სიცოცხლის ბოლომდე 35 წლის განმავლობაში. აქ მეცნიერება ჩამოაყალიბა თეორიული სემინარი, რომელიც საქართველოში თეორიულ ფიზიკაში კადრების სამეცნიერო იქცა. ეს კათედრა დღესაც ნაყოფიერად მუშაობს.

ვ. მამასახლისოვმა 1943 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ერთი წლის შემდეგ კი პროფესორის წოდება მიენიჭა. ამავე წელს ვ. მამასახლისოვი დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად. საბჭოთა მთავრობის დადგენილების შესაბამისად და უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოსის ნ. კეტოველის ინიციატივით 1948 წელს შეიქმნა ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტი, რომლის დეკანობაც მასვე მიანდეს. ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტის ჩამოყალიბებამ თბილისის უნივერსიტეტში დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ფიზიკის თანამედროვე დარგების სწრაფ განვითარებას. სხვადასხვა დროს მამასახლისოვი პარალელურად განაგებდა განყოფილებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტში, შემდგომ — ფიზიკის ინსტიტუტში. 1951 წელს იგი აირჩიეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 9 წლის შემდეგ — წევრად.

ვ. მამასახლისოვის სამეცნიერო ინტერესების ძირითად სფეროს თეორიული ბირთვული ფიზიკა წარმოადგენდა, მისი პირველი შრომები, რომლებიც 1935-1936 წლებში გამოქვეყნდა, მიძღვნილია ამ დარგის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის — ბირთვული ძალების ბუნების შესწავლისადმი. მათგან პირველი ეხება უმარტივესი ატომბირთვის — დეიტრონის ფოტოგახლეჩას, რომელიც

სსრ კავშირის

ბირთვული

ფიზიკის

პატრიარქი

ბირთვული ურთიერთქმედების რადიუსის სასრულობის გათვალისწინების პირველ ცდას წარმოადგენს. თეორიულ-იდეური თვალსაზრისით მეტად საინტერესო იყო ამ ციკლის მომდევნო შრომები.

ვ. მამასახლისოვის შრომების დიდი ციკლი განეკუთვნება ბირთვული ფიზიკის მეორე ძირითად მიმართულებას — ატომბირთვის მოდელების დამუშავებას. ამ მხრივ მეტად საინტერესო გამოდგა ბერილიუმის ატომბირთვის მის მიერ წამოყენებული მოდელი, რომლის მიხედვით ამ ბირთვის თვისებებისა და მასზე მიმდინარე მთელი რიგი პროცესების თავისებურებათა ასახსნელად იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ნეიტრონისა და ნარჩენი ბირთვისაგან შედგენილი სისტემა. ვ. მამასახლისოვის შრომების ციკლმა თავის დროზე დიდი აღიარება მოიპოვა.

შემდგომი შრომების დიდი უმრავლესობა ვ. მამასახლისოვმა შეასრულა თავის მოწაფეებთან ერთად, რომლებიც გამოთქმული იყო მოსაზრება მსუბუქ ბირთვებში ნუკლონთა სხვადასხვა წარმონაქმნების — კლასტერების არსებობის შესაძლებლობის შესახებ.

მეტად საინტერესოა აგრეთვე მამასახლისოვის მიერ თანამშრომლებთან ერთად შესრულებული შრომები, რომლებშიც დეტალურად არის შესწავლილი ატომის აგზნებული მდგომარეობიდან გამაკვანტების შინაგანი კონვერსია. ამ შრომებმა, რომლებიც შესრულებულია თანამედროვე კვანტური ელექტროდინამიკის ჩამოყალიბებამდე, შესამჩნევი წვლილი შეიტანეს გამოსხივების კვანტურ თეორიაში.

სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ვ. მამასახლისოვი ათეული წლების განმავლობაში ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა. მისი ცოცხლად და არტისტული მგზნებარებით წაკითხული ლექციები ყოველთვის იპყრობდა მსმენელს. ვ. მამასახლისოვის მიერ სტუდენტებისათვის წაკითხული ლექციების მიხედვით შეიქმნა სახელმძღვანელები ქართულ ენაზე. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია თავის მოწაფეებთან ერთად დაწერილი „კვანტური მექანიკა“. იგი დღესაც დიდ სამსახურს უწევს ქართველი ფიზიკოსების აღზრდის საქმეს.

ვ. მამასახლისოვი ფართო და მრავალმხრივ სამეცნიეროსაზოგადოებრივი მოღვაწეობას ეწეოდა. იგი იყო არაერთი ახალი და პერსპექტიული სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმის ინიციატორი თუ აქტიური მხარდამჭერი. მაგალითად: მისი ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ბირთვული ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითს ლაბორატორიაში შეიქმნა ორი ახალი ექსპერიმენტული განყოფილება, რომლებსაც 1964 წელს მოჰყვა კიდევ ერთი — თეორიული ბირთვული ფიზიკის განყოფილების შექმნა. სწორედ ამ სამი განყოფილების ბაზაზე მოგვიანებით შეიქმნა მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის პრობლემური ლაბორატორია, რომლის ბაზაზეც თავის მხრივ 1979 წელს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი.

თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ვ. მამასახლისოვმა, მ. მირიანაშვილთან და გ. ხუციშვილთან ერთად საქართველოში საიმედო საფუძველი შეუქმნა თანამედროვე თეორიული ფიზიკის განვითარებას.

დიდია მეცნიერის წვლილი ბირთვულ ფიზიკაში სამეცნიერო კადრების მომზადებაშიც. მისი აღზრდილები ამჟამად წამყვან სამუშაოს ასრულებენ ჩვენს რესპუბლიკაში ატომბირთვისა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის თანამედროვე დარგების განვითარების საქმეში.

თ. კოკალეიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

ი. ვაშაკიძე,
პროფესორი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ᲐᲛ ბოლო ხანს შეერთებულ შტატებში ძალზე გახშირდა ისეთი მასალების პუბლიკაცია, რომლებშიც ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა კავშირი „არღვევდეს“ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის ხელშეკრულების დებულებებს.

ამ თემას მიეძღვნა მიმდინარე წლის 2 დეკემბერს გამოქვეყნებული თეთრი სახლის მოხსენებაც შეიარაღების შეზღუდვის დარგში სსრ კავშირის მიერ მორიგებათა დაცვის შესახებ, რომელშიც, თვით ამერიკელთა აღიარებით, ძირითადად მეორედ წინანდელი მოსაზრებანი, და კვლავ ცდილობენ საბჭოთა კავშირს წაუყენონ აშკარად მოგონილი ბრალდება, თითქოს მან „შეიძლება“ არ შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებანი.

ამჯერად მოხსენებაში შეტანილია ბრალდება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების რაღაც „ახალი დარღვევის“ შესახებ. ამერიკის მხარე ეხება გომელისა და მოსკოვის რაიონებში ეგრეთ წოდებული „პონ შოპისა“ და „ფლეტ თვინის“ რადიოსალოკაციო სადგურების „გაჩენას“, რომლებიც მანამდე სარი-შაგანის საცდელი პოლიგონის რაიონში იყო განლაგებული.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირში ამერიკის მხარის ცდა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის წინ გააცოცხლოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების ეგრეთ წოდებული „დარღვევების“ პრობლემა, მიაჩნიათ ნაბიჯად, რომელიც ხელს არ უწყობს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში საქმიანი და კონსტრუქციული ატმოსფეროს შექმნას. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას აქვს ყველა საჭირო ინფორმაცია ამ საკითხზე. საბჭოთა მხარემ ამომწურავი ახსნა-განმარტება მისცა ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირ-ამერიკის შუდმივ საკონსულტაციო კომისიას და აღნიშნა, რომ ამერიკის მხარეს ამ საკითხის აღძრის არავითარი საფუძველი არა აქვს.

როცა 1984 წელს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა პირველად აღძრეს სარი-შაგანის მახლობლად საცდელ პოლიგონზე ავტოფურგონზე დადგმული რადიოსალოკაციო სადგურის საკითხი, საბჭოთა კავშირში ყურადღებით მოეკიდნენ ამერიკის ამ წუხილს. ამერიკის მხარეს მიეცა საჭირო ახსნა-განმარტება რადიოსალოკაციო სადგურის შესახებ. აღინიშნა, რომ რადიოსალოკაციო სადგური საცდელ პოლიგონზე განლაგებული იყო 70-იანი წლების დამდეგიდან, სადაც მას იყენებდნენ საზომ-ხელსაწყო მოწყობილობად და ეროვნული ტექნიკის საშუალებების სისტემაში ეპიზოდურად კოსმოსური სივრცის კონტროლისათვის, რაც არ ეწინააღმდეგება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის ხელშეკრულების დებულებებს.

ამ წუხილის გაქარვებისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების რეჟიმის განმტკიცების მიზნით საბჭოთა კავშირმა კონსტრუქციული ნაბიჯი გადადგა: მან დაშალა რადიოსალოკაციო სადგურები სარი-შაგანის პოლიგონზე, მათი მოწყობილობა კი ფიზიკურად მოსპო. ამ რადიოსალოკაციო სადგურების (ამერიკის ტერმინოლოგიით — „პონ შოპი“) ორი ავტოფურგონი გადაეცა სახალხო მეურნეობას და გადადგილდა გომელისა და მოსკოვის რაიონებში. მესამე სადგური ფურგონთან ერთად მოისპო. საბჭოთა კავშირში არ არის სადგურები, რომლებსაც ამერიკის მხარე მცდარად მიიჩნევდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მობილური რადიოსალოკაციო სადგურებად.

რაც შეეხება მეორე რადიოსალოკაციო სადგურს („ფლეტ თვინს“ — ამერიკის ტერმინოლოგიით), გომელის რაიონში არის ასეთი ტიპის რადიოსალოკაციო სადგურის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები — საბრუნი მოწყობილობა და უაპარატურო კონტეინერები. ესეც არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებას.

უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირმა კეთილი ნების წესით გამოთქვა სურვილი, რომ შზად არის ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს უჩვენოს „პონ შოპის“ რადიოსალოკაციო სადგურის ავტოფურგონი და „ფლეტ თვინს“ რადიოსალოკაციო სადგურის ცალკეული ფრაგმენტები, რათა ამერიკელებს მიეცეთ შესაძლებლობა ადგილზე დარწმუნდნენ წინათ წარდგენილი ინფორმაციის უტყუარობაში.

ჩამოსვლისა და ამ რადიოსალოკაციო სადგურების ავტოფურგონების და ცალკეული ფრაგმენტების დათვალიერების კონკრეტული ვადები და ორგანიზაციული საკითხები ამერიკის მხარეს მოსკოვში გააცნეს.

საბჭოთა კავშირი ასეთ უპრეცედენტო ნაბიჯს იმიტომ დათანხმდა, რომ საბოლოოდ მოიხსნას ეს მოგონილი საკითხი. რა თქმა უნდა, იმედი გვაქვს, რომ ამერიკის მხარეც გამოიჩენს ანალოგიურ კონსტრუქციულ მიდგომას გაურკვეველი სიტუაციების გადაწყვეტისა და მხარეთა წუხილის გაქარვებისას.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რადიოსალოკაციო სადგურების ცარიელი ავტოფურგუნების საკითხის გამოყენება და წარმოდგენილი ინფორმაციის დამახინჯება იმ მიზნით, რომ სსრ კავშირს უსაფუძვლოდ დაბრალონ საბჭოეკონომიურთო ვალდებულებათა დარღვევა, არ ემსახურება ნდობის განმტკიცებას, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაზს პოზიტიური განვითარების საქმეს.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ საკვლევი იუწყება 4 დეკემბერი

უნიკალური პირველწყარო

მ. ს. გორბაჩოვის წიგნის წარდგენა კანადაში

ოტავა. სსრ კავშირის ოტავის საელჩოში მოეწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, მ. ს. გორბაჩოვის წიგნის „გარდაქმნა და ახლებური აზროვნება ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის“ ოფიციალური წარდგენა. წიგნი ინგლისურ ენაზე გამოსცა კანადის უდიდესმა გამომცემლობამ „ფიტცჰენრი ენდ უოტსაიდმა“ ამერიკის გამომცემლობასთან „ჰარპერ ენდ როუ პაბლიშერზ, ინკორპორიტთან“ თანამშრომლობით. გარდა ამისა, საფრანგეთის კომპანიის „ფლამარიონის“ კანადის განყოფილება ავრცელებს მ. ს. გორბაჩოვის წიგნს ფრანგულ ენაზე.

წარდგენის ცერემონიას დაესწრნენ კანადის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ჟურნალისტები.

გამომცემლობა „ფიტცჰენრი ენდ უოტსაიდის“ ვიცე-პრეზიდენტმა რობერტ რიდმა განაცხადა, მ. ს. გორბაჩოვის წიგნი გამოიცა იმის გამო, რომ კანადაში უდიდეს ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირში მიმდინარე საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისადმი. ეს წიგნი წარმოადგენს გარდაქმნის, დემოკრატიისა და საჯაროობის განვითარების პროცესების შეცნობის უნიკალურ პირველწყაროს.

ლიბერალური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ მარსელ პრიუდომმა აღნიშნა, რომ იგი აუცილებლად გაეცნო მ. ს. გორბაჩოვის ნაშრომს, ძალზე საინტერესოდ ეჩვენა ეს წიგნი და აპირებს ფედერალური პარლამენტის ყველა წევრს ურჩიოს წაიკითხონ იგი. „ეს აუცილებელია ყოველი პარლამენტარისათვის, რათა სწორი წარმოდგენა შეიქმნას იმის შესახებ, რაც საბჭოთა კავშირში ხდება, გიგოს საბჭოთა ხელმძღვანელის მისწრაფებები და სსრ კავშირის წინადადებებს მოეკიდოს გონიერებისა და ნდობის პოზიციებიდან, და არა წინასწარგანწყობის პოზიციიდან“, — დასძინა მ. პრიუდომმა.

◆ აშშ

სენატის გეგმები

მომავალი შეთანხმების რატიფიკაციის მიმართ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. 19 იანვარს, საშობაო არდადეგების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მუშაობის განახლების პირველ დღეს, დაიწყება სენატში საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების მოსპობის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების განხილვა, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ უმაღლეს დონეზე მომავალი შეხვედრის დროს.

ამ დღეს, იუწყება გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, შეთანხმების შესახებ მოსმენას შეუდგება სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტი. არსებული გეგმის თანახმად, დოკუმენტი სარატიფიკაციოდ სრული შემადგენლობის სენატს უნდა გადაეცეს მარტის დამდეგს.

შეთანხმების რატიფიკაციის პერსპექტივის მიმართ „თავშეკავებული ოპტიმიზმი“ გამოთქვეს სენატში დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა რობერტ ბერდმა და სხვა კანონმდებლებმა. მაგრამ მთელი რიგი სენატორები ვარაუდობენ, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების მოწონებადმეგეთა მთელი ძალისხმევა იქნებიკენ იქნება მიმართული, რომ მიაღწიონ დოკუმენტში სხვადასხვა შესწორების შეტანას.

◆ ჩინეთი

საჭიროა ყოველმხრივი რეფორმა

ჯაო ძიანის გამოსვლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. როგორც გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“ წერს, პეკინში მოიწვიეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სხდომა. სხდომაზე ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ჯაო ძიანმა ოფიციალურად გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის უფლებამოსილება ლი პენს, რომელიც ამას წინათ ჩინეთის მთავრობის შემსრულებლად დანიშნეს.

სხდომის მონაწილეთა წინაშე გამოსვლისას ჯაო ძიანმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ თავის საქმიანობაში სახელმწიფო საბჭომ ძირითადი ყურადღება უნდა დაუთმოს რეფორმის განხორციელებას, რომელმაც სტიმული უნდა მისცეს ეკონომიკურ მშენებლობას ჩინეთში. აღნიშნა რა თანაგრობის ამოცანათა განსაკუთრებული სირთულე, მან თქვა, რომ ეკონომიკური ეფექტიანობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხები დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის „ყველაზე მნიშვნელოვანი და საკვანძოა“. მათ გადაუწყვეტლად „ქვეყანა და ხალხი ვერასოდეს ვერ გამდიდრდებიან, ხოლო განსხვავება ჩინეთსა და განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს შორის კვლავ გაიზრდება“. ამ საკითხების გადაწყვეტა, აღნიშნა ორატორმა, „შეუძლებელია ტრადიციული მეთოდებით, ამისათვის საჭიროა ახლებული სამეურნეო სისტემის ყოველმხრივი რეფორმა“.

ჩვენი რეფორმა, თქვა შემდეგ ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელმა, ალაბედზე არ ხორციელდება, მას სწორი თეორიული ხელმძღვანელობა ეწევა. ამასთან ერთად რეფორმა მართლაც აწყდება სიძნელეებსა და სირთულეებს. ამჟამად ახალი და ძველი ეკონომიკური სისტემების ერთდროული არსებობის პირობებში ყველაზე დიდი სიძნელეა იმის განსაზღვრა, თუ როგორ შეიძლება რეფორმის მიზნების სტაბილური ხორცშესხმის მიღწევა. რეფორმა დინების საწინააღმდეგო მოძრაობას ჰგავს — წინ თუ არ იცვლი, უკან დაგორდები. ამატომ შეჩერება არ შეიძლება. მოულოდნელ პრობლემათა წარმოქმნის შემთხვევაში არ უნდა გვეშინოდეს თავდაპირველი გეგმების შესწორებისა, თავს უნდა ვიკავებდეთ უმწიფარი და ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისაგან. ჩვენ მივესალმებით გამბედაობასა და ინიციატივას.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

წარმატებით გამოსცადეს

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. პირველი საცდელი გაფრენა მოაწყო X ფორმის ფრთიანმა თვითმფრინავმა, რომელშიც შერწყმულია ვერტმფრინავისა და რეაქტიული თვითმფრინავის ტექნიკური მახასიათებლები. X ფორმის ფრთა გარკვეულ ეტაპებზე ფაქტობრივად ვერტმფრინავისმაგვარ ხრახნად იქცევა, რაც უზრუნველყოფს მანქანის ვერტიკალურად აფრენას და დაჯდომას, ხოლო ჰორიზონტალური ფრენისას იგი მუშაობს როგორც ჩვეულებრივი თვითმფრინავის ფრთა. ფრენა განხორციელდა ორი ათას მეტრ სიმაღლეზე საათში 300 კილომეტრი მაქსიმალური სიჩქარით. გამოცდის დროს, რომელიც, სპეციალისტთა შეფასებით, წარმატებით დამთავრდა, თვითმფრინავი ორჯერ დაჯდა და აფრინდა.

აღვადგინოთ ჩხოროთოლჰესი

მცირე მდინარეებზე — მცირე ელსადგურები

ᲩᲮᲝᲠᲗᲝᲚᲘ გალის რაიონში ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული მაღალმთიანი სოფელია. აქ 600-მდე კომლი ცხოვრობს, მოსახლეობა 2000-ს აღწევს. კოლმეურნეობა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს ატარებს, ეკონომიკურად მძლავრი და მრავალდარგოვანია. მოგვყავს ჩაი, ციტრუსი, ტუნგი, მარცვლეული კულტურები, ყოველწლიურად იზრდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა. და, რა თქმა უნდა, გვაქვს ფერმებიც.

შარშან მწყობრში ჩადგა ჩაის მიკროფაბრიკა, რომლის წლიური მწარმოებლურობა 3000 ტონას აღწევს.

კოლმეურნეობამ ჯერ კიდევ ომისშემდგომ პერიოდში მდინარე წარჩეზე ააგო საკუთარი ჰიდროელექტროსადგური და მას „ჩხოროთოლჰესი“ ვუწოდეთ. იმხანად ამ მცირე ელექტროსადგურის სიმძლავრე 1000 კილოვატსაათს შეადგენდა, იგი იაფფასიან ელექტროენერგიას აწვდიდა არა მარტო ჩხოროთოლს, არამედ მეზობლად მდებარე რამდენიმე სოფელსაც.

ჩხოროთოლჰესმა მეოთხედი საუკუნე შეუფერხებლად იმუშავა. შემდეგ უნიკალური ენგურჰესის მშენებლობის გამო ყურადღება მოაკლდა მცირე სიმძლავრის ელსადგურს. შედეგად თანდათან მწყობრიდან გამოვიდა მისი ჰიდროაგრეგატები და 70-იან წლებში საერთოდ შეწყვიტა მუშაობა. არადა, რაოდენ საჭირო იყო ჩვენი კუთხისათვის ეს პატარა ჰიდროელექტროსადგური.

ჩხოროთოლელებმა დავსვეთ საკითხი აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურის აღდგენისათვის, მაგრამ ამაოდ. ასე მიეცა მივიწყების საკმაოდ წყალუხვ მდინარე წარჩეზე აგებული ელსადგური.

შარშან კოლმეურნეობის გამგეობაში მოვიდნენ ახალგაზრდა უნარიანი სპეციალისტები. კოლმეურნეობის ახალმა თავმჯდომარემ ვ. შონიამ სოფლის შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთელ რიგ პრობლემებთან ერთად დღის წესრიგში დააყენა „ჩხოროთოლჰესის“ აღდგენაც. ამ საკითხზე დახმარებისათვის მიმართეთ გაერთიანება „საქჰიდროენერგოშენის“ უფროსს მიხეილ ცისკარიშვილს. იგი მაშინვე გამოეხმაურა ჩვენს თხოვნას და სოფელში მდგომარეობის შესასწავლად მოავლინა გაერთიანების სპეციალისტთა ჯგუფი.

თბილისელმა ჰიდროსპეციალისტებმა ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან და ენგურჰესის სამშენებლო სამმართველოს წარმომადგენლებთან ერთად გულდასმით შეისწავლეს აღძრული საკითხი. მათ დაასკვნეს, რომ აუცილებელია არა მარტო ჩხოროთოლჰესის აღდგენა, არამედ შესაძლებელია მდინარე წარჩეზე კიდევ რამდენიმე მცირე ელსადგურის აგებაც.

საამისოდ „საქჰიდროენერგოშენის“ ხელმძღვანელობა დაგპირდა ჩხოროთოლელებს ელექტროსადგურისათვის საჭირო შენობის აღდგენას. საჭირო თანხებს, რა თქმა უნდა, კოლმეურნეობა გაიღებს.

ახლა მთავარია ჩხოროთოლელებს დახმარების ხელი გამოგვიწოდონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და „საქენერგომ“ ჩხოროთოლჰესის აღდგენისათვის საჭირო ჰიდროაგრეგატებით უზრუნველყოფისათვის. ეს ერთი ხელის მოსმით გასაკეთებელი საქმე როდი, მაგრამ ნათქვამია: თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო.

ასევე შეიძლება აფხაზეთში მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური აშენდეს მდინარეების ოქუმის, რეჩხის, ღალიძგის, მოქვის, მაჯარკის, ბესლეთის, გუმისთის, ეშერის, ბზიფის, კალდახუნვის აუზებში. მათი წყლის ენერგიის გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემს სახალხო მეურნეობას ძვირფასოდ ალბეგოდოთ ძალზე იაფი ელექტროენერგია.

ე. ქვარანძია,
გალის რაიონის ჩხოროთოლის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი,

ბ. სირგინავა,
მეხუთე ბრიგადის ხელმძღვანელი, ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, „ხაპატიო ნიშნის“ ორდენების კავალერი, რაიონული საბჭოს დეპუტატი,

ი. ქვარანძია,
ჩხოროთოლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

ინტელექტუალური პოტენციალი — გარდაქმნის სამსახურში

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ მოთხოვნებიდან გამომდინარე პრ

ᲮᲘᲛᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲡ

ᲐᲓᲠᲔᲕᲔ, სიუჟეტურივე გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ ლექსში გაზოიკვეთა ოთარ შალამბერიძის პოეტური ხმა — ლირიზმით გამთბარი რიხიანი, ამაღლებული ტონი და ქვეყნის გასაგონად შერჩეული სათქმელი. შამილისა და დაღესტნის რისხვა და ამავე დროს უაღრესად ეროვნული პოეტი უძლურია სიყვარულის წინაშე, სიყვარულმა „ფეხზე დაიკიდა გენერლის მუნდირიც“.

დარდი დასტყობია ყაბახის ფალავანს,
სიონში შევიდა და... შეკრთა სანთელი.—
გრიგოლ! — სიყვარული რა დარდუბალაა,—
როგორ წაგახდინა ამხელა ქართველი.

ადრეულ ლექსებში გამჟღავნებული სევდაგამოყოლილი ლირიზმი გაუნელებელ თვისებად შერჩა მომავალში ოთარ შალამბერიძის პოეტური სატყვას.

ადამიანურმა სევდამ მკითხველის გულთან უფრო უშუალოდ, თანაგრძნობის გამოძწვევად მიიტანა პოეტური სათქმელი და მეტაფორა. მერე და მერე სხვისი ტკივილებიც მისად იქცა, „სხვისი ეყალიც კაწრავდა“ პოეტის გულს და ამიტომაც ორგანულად შეერწყა მის ლექსებში პირადი და სხვისი ტკივილები ერთმანეთს. რთულმა და მშფოთვარე ცხოვრებამ ღრმად დაიფესვა პოეტი თანამედროვეთა ბედზე. მრავალი მტკივნეული საფიქრალის წინაშე დააყენა დრომ ოთარ შალამბერიძის თაობა, განსაკუთრებით მისი ლიტერატურული თაობა. ახალგაზრდა პოეტის ლექსებში თანდათან ჩნდება ასეთი სტრიქონები: „მე ძლიერ ცოტა ალერსი შემხვდა, როცა მწყუროდა ალერსი, იმ დროს“.

მოგვიანებით ლირიკულ პოემაში „ლტოლვა მარადი“ ახალგაზრდა პოეტი შეეცადა ჩასწვდომოდა ბარათაშვილის სულის სიღრმეებს, მის პოეტურ და ადამიანურ განცდებს, უიღბლო სიყვარულსა და ახლობელ ადამიანთა გულცივობას და უახლოესი წინაპრის გარშემო თავმოყრილ მწვავე საკითხების ფონზე შეხმიანებოდა თანამედროვეთა საწუხარს. ხომ არ გავხდით ერთმანეთისადმი გულგრილნი? ხომ არ ვაკლებთ ერთმანეთს ალერსსა და თანაგრძნობას?

ადამიანები. სხვადასხვა ხასიათისანი და გუნება-განწყობილებისანი არიან, ამას კი საზოგადოებრივი მოვლენები ქმნის. ლექსში „ხასიათი“ ოთარ შალამბერიძე მიგვანიშნებს, რომ „არის სხვადასხვა ხასიათი — კარგი და ცუდი“, მაგრამ ვინ რა იცის, რა ეწუხება ქუჩაში მიმავალ მოწყენილ, ჭაღარა კაცს, იქნება სჯობს, არ გამოვკითხოთ მწუხარების მიზეზი, სხვა ხასიათების ადამიანებსაც ნუ შევაწუხებთ ამგვარი კითხვებით, „და ყოველგვარი ხასიათის კაცს გაუმარჯოს!“ პოეტმა არ უნდა შეიძულოს ადამიანი, თუნდაც ცუდი ხასიათისა, უნდა მოეფეროს მას, უნდა შეეცადოს, შეუცვალოს ხასიათი, რადგან ხშირად ცუდი ხასიათი მისი შინაგანი ბუნება კი არ არის, არამედ მის გარშემო აღძრული მოვლენებით არის გამოწვეული. ადამიანებისადმი დამოკიდებულების ამ პათოსს არსად ღალატობს ოთარ შალამბერიძე. „იმერეთს რომ სეტყვა მომხვდეს, ახმეტაში ფესვი მტკივა“, ამბობს ქართული ვაზი პოეტის ლექსში, სხვათა ტკივილების, სხვათა ჭირ-ვარამის თანაზიარობის სულისკვეთებით არის გამსჭვალული ოთარ შალამბერიძის ლექსები.

ოთარ შალამბერიძის ბოლოდროინდელი ლირიკული პოემები წარდგენილია ჩვენი რესპუბლიკის „ხუთწლედის მატიანის“ პრემიის მოსაპოვებლად. ამ პატარა წერილით მე მინდა მხარი დავუჭირო საპატიო პრემიაზე წარდგენებას, ამიტომაც ერთხელ კიდევ თვალი გადავავლე პოეტის რჩეული ლექსების წიგნს და მისი ლექსის რამდენიმე ნიშან-თვისებას მივაპყარი მკითხველის ყურადღება. ამ ნიშან-თვისებათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა აწ უკვე ნახევარ საუკუნეს გადაცილებული პოეტის მრავალი ლექსი, პატრიოტული თუ სატრფიალო, ინტიმური თუ საზოგადოებრივი მოვლენებით შთაგონებული. აქვე მინდა გავიხსენო მისი ერთი ლექსი „შეკვეთა“, რომლითაც ო. შალამბერიძემ ნათლად გამოხატა თავისი პოეტური მრწამსი. კითხვაზე, შეკვეთით თუ დაგიწერიათ ლექსიო, პოეტი მკითხველს უპასუხებს, გულის, ცხოვრების, დროის შეკვეთით ვწერო.

არ დავრჩენილვარ მარტო
ფიქრებთან,
ფეხდაფეხ მივდევ დღეთა
მარულას.
დიახ! ეს ლექსი მე შემიკვეთა
ძმობამ, სიკეთემ და
სიყვარულმა.

თანამედროვე პრობლემებითა და საზოგადოებრივი სულისკვეთებით არის გამსჭვალული მისი ლირიკული პოემები. მათი თემები იმდენად აქტუალურია, რომ საშიში იყო,. მშრალი და ტრაფარეტული მოდელების ზეგავლენის ქვეშ არ მოქცეულიყვნენ. პოემა შეძლო ფიქრებისა და საინტერესო მხატვრული სამოსელი მოერგო მათთვის.

„პატაკი“, „პოემა მამაც შვიდეულზე“, „ესტაფეტა“ და „სიმღერა შავნაბადაზე“, რომლებიც ერთ წიგნად გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა, ჩვენი მშფოთვარე დროის ახალგაზრდობის პრობლემებს ეხება. ჩვენი საზოგადოების განვითარების ეტაპებს დღეს მკაცრი კრიტიკული თვალითაც გადახედეს, ასე მოითხოვა გარდაქმნისა და საჭიროობის ნანის ახლებურმა აზროვნებამ, მაგრამ განვითარების რთულ გზაზე შესაფერისად არის შეფასებული წინა თაობების ღვაწლი, ამ გზათა პირველმკვლევებმა თავგანწირვა გამოიჩინეს, „და თუ დიდება ვერ მოიპოვეს, უდიდესი გზებით იარეს“. ასე შეაფასა ოთარ შალამბერიძემ მათი ღვაწლი. ოციანი და ოცდაათიანი წლების ახალგაზრდების ბედზეა ღრმად ჩაფიქრებული პოემა, რომელთაც „უნგაირის ტახტზე დარჩნენ ახალგაზრდობა და სიყვარული“. ისინი პირველები იყვნენ ამ დიდ გზაზე, ერთსულოვნად შეკრულნი, რადგან „გუგუნი მხოლოდ მუხნარს სჩვევია, და არა მუხას თითო-ოროლას“.

იმ თაობათა ახალგაზრდობის რწმენა და შუქი მიუძღვის წინ ოთხმოციანი წლების ახალგაზრდობის მამაც შვიდეულს, რომელსაც გადაუწყვეტიათ თხილამურებით გადალახონ არქტიკა და ამ უმაგალითო ლაშქრობით მიაღწიონ მარად გამყინვარებულ „ჩრდილოეთის პოლუსს“. პოეტს მხოლოდ მომხდარი ფაქტის გარეგნული მხარე კი არ ინტერესებს, „ეს არ გახლდათ მარტო ქინი ჩრდილოეთის დაპყრობისო“, აცხადებს თავადაც. ამ თავისთავად მამაცურ ქცევაში პოეტი ხედავს ჩვენი ახალგაზრდობის მორალურ სიმაღლეებს, იმ სულიერ პოლუსებს, რომელთა ღასაყრობად არის აღძრული დღევანდელი თაობა. ეს არის ერთგულების, ძმობისა და მამაცობის, სამშობლოს სიყვარულის პოლუსები: „ეაცი თავად უნდა იქცეს ვაკაცობის პოლუსად“.

და თუ მოგთხოვს დროის
საქმე,
ცასაც გადაეტოლე.
სწორედ ასეთ პოლუსს
ვაქებ,
ასეთ თანამედროვეს.

ასეთი რომანტიკული აღტაცებით არის მიმართული პოეტის შთაგონება ჩვენი დროის ახალგაზრდობის ყველა თაობის მიმართ, რადგან

ახალგაზრდობა —
ეს ის მკერდია,
რომელსაც ზოგჯერ ტყვიას
უშვერენ.

შავნაბადაზე ახალგაზრდობის ქალაქში ორი ძეგლია აღმართული — ბორის ძნელაძის და მირზა გელოვანისა. მცირე მანძილია ამ ძეგლებს შორის, „მაგრამ რამდენი გრიგალი მიჰქუხს“ მასზე! ოთარ შალამბერიძის ამ ლირიკული პოემებიდან მოგვესმის ჩვენი ახალგაზრდობის ერთი საერთო ჰიმნი.

ᲚᲐᲓᲝ ᲡᲣᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ.





ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: სცენები სპექტაკლისა „ოთხი მარტი“.
ჯ. ლომაძის ფოტო.

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲦ

ᲤᲐᲥᲢᲘ ■ ᲛᲝᲛᲚᲔᲜᲐ ■ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ რაიონის მშრომელებმა წლიულს გადაჭარბებით გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის, ზორცის, რძის, კვერცხის მიყიდვის ვალდებულებები: გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გამოუშვეს მილიონ 100 ათასზე მეტი მანეთის პროდუქცია.

ამ მიღწევებით დამშვენდა ტრადიციული

ᲛᲠᲝᲛᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ

იგი ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. სპორტულ ბაზებში გაიმართა მასობრივი შეჯიბრებები, ღია ესტრადებზე თავიანთი ხელოვნება წარმოადგინეს მოსწავლეთა კოლექტივებმა, პიონერთა და კულტურის სახლებს ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლებმა; სასოფლო საბჭოების საზოგადოებრივ მეურნეობათა მიერ სახელდახელოდ მოწყობილ ოდებში წარმოდგენილი იყო მდიდარი ექსპონატები, დიაგრამები, რომლებიც ასახავდა რაიონის შრომითს მიღწევებს.

ზეიმი დაამშვენა სოფელ ფერსათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრების მარგალიტა მჟავანაძისა და ლადიკო თორთლაძის „ოქროს ქორწილმა“. ისინი 5 შვილით, 15 შვილიშვილითა და შვილთაშვილებით შეხვდნენ შეუღლების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

▲▲

ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲝᲜᲘ, ᲬᲧᲐᲠᲝᲕ ᲐᲜᲯᲐᲠᲐᲕ!

ჭიათურის ზონის სოფელ თვალუეთის ერთ-ერთი უბნის მცხოვრებლები სასმელ წყალს შორი მანძილიდან ეზიდებოდნენ. აქაურმა პედაგოგმა, პენსიონერმა ანდრო ბიწაძემ თავისი ინიციატივითა და ხარჯებით წყალი გამოიყვანა სამიოდე კილომეტრი მანძილიდან. შემდეგ მას მხარში სხვა ენთუზიასტებიც ამოუდგნენ და ერთად შეუდგნენ საქმეს. კოლმეურნეობამ არხის გასაჭრელად მათ ტრაქტორი მიაშველა, პლასტმასის იაფფასიანი მილები მოსახლეობამ შეიძინა და ოჯახებში ახლა გამუდმებით მორაკრაკებს მთის ანკარა წყარო. მეზობლებმა ახალ წყალსადენს შინაურულად „ანდროს წყალი“ შეარქვეს. რადგან ამ სასიკეთო საქმეს მხოლოდ მისი ინიციატივით დაედგა თავი.

თვალუეთელთა ინიციატივა იმის დასტურიც არის, რომ დიდი საქმის გაკეთება შეუძლია თვით მოსახლეობას, თუ ისინი მოინდომებენ და არ დაელოდებიან „ზეციდან“ წყალობას.

ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲐ-ᲮᲘᲓᲘ

რკინიგზის ხაზი ბათუმის აღმოსავლეთ ნაწილს შუაზე კვეთს. „ბარცხანის“ დასახლებაში ინტენსიური საავტომობილო მოძრაობა თითქმის ყოველ 15-20 წუთში იკეტებოდა რკინიგზის შლაგბაუმით. ეს პრობლემას უქმნიდა საავტომობილო ტრანსპორტს. და აი, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს № 12 ხიდმშენებლობის ტრესტის № 108 ხიდმშენის რაზმმა ააგო რკინიგზის ხაზების ზემოდან გადასასვლელი საავტომობილო და საცალფეხო რკინაბეტონის გზა-ხიდი, რომლის სიგრძე სამას მეტრს აღემატება.

▼▼

ᲓᲦᲔᲡ, 5 დეკემბერს, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება იუმორის საღამო. აქ თქვენ შეხვდებით ესტრადის მსახიობებს, ვოკალურ-ინსტრუმენტულ კვარტეტს. ფელეტონები თუ იუმორესკები კარგ გუნება-განწყობილებას შეუქმნის მსმენელთა.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲨᲔ ᲒᲘᲝᲛᲐᲠᲗᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲨᲔ
Ⓖ. ᲚᲘᲫᲘᲐᲜᲘ

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲜ

ᲒᲘᲓᲦᲕᲔᲕᲗ ᲙᲐᲤᲔ „ᲒᲣᲠᲘᲐ“

ᲒᲐᲜᲐ ამ ერთი წლის წინათ კი წარმოიდგენდა რომელიმე მოსკოველი, რომ სახელმწიფო რესტორნებისა და კაფეების გვერდით ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში სრული დატვირთვით ამუშავდებოდა ანალოგიური კერძო დაწესებულებები? დღეს 45 ასეთი კაფე-რესტორანი მოქმედებს. სულ მალე კიდევ 75 ერთეულით გაიზრდება მათი რიცხვი. საზოგადოებრივი კვების აღნიშნული ობიექტები შეიქმნა და კვლავაც იქმნება ინდივიდუალური ინიციატივის წყალობით, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნის საერთო პროცესი ოფიციალურად დაშვებული კანონით 1987 წლის პირველი მაისიდან ანიჭებს რეალური მოქმედების სტიმულს.

ერთობ ხანმოკლე პერიოდში ძალზე პოპულარული გახდა კოოპერაციული კაფე-რესტორნები, რასაც დიდად შეუწყო ხელი მომსახურების მაღალმა კულტურამ, გულითადმა მასპინძლობამ და გემრიელმა კერძებმა. მიუხედავად იმისა, რომ მენიუში ალკოჰოლიანი სასმელები არ არის, კოოპერაციული საწარმოები დიდად რენტაბელურია, თუმცა, გაათკეცებული ენერგიის ხარჯვაც უხდებათ.

ამ სამი თვის წინათ კომკავშირის პროსპექტზე გახსნილ კაფე „გურიას“ ხუთი კაცი უძღვება. 24-ადგილიანი დარბაზი თითქმის მუდამ სავსეა, მაგრამ, მაინც აქ ყოველთვის გამოგიძებნიან ერთთავისუფალ მაგიდას და გაგიმასპინძლდებიან ქართული საშაურეულოს „შედეგრებთან“.

კაფეს დისახლისი ზოია ქარჩავა მზარეულიც არის და ბუღალტერიც. მის მხარდამხარ ტრიალებენ ქმარი და ქალიშვილი, იგივე მოვალეობას რომ ასრულებენ, რასაც სხვაგან — ოფიციანტი და ჭურჭლის მრეცხავი. სახელმწიფო გადასახადი შეადგენს შემოსავლის 3 პროცენტს პირველ ორ წელიწადში, 5 პროცენტს — მესამე წელს და შემდეგ — უკვე 10 პროცენტს...

კაფე „გურია“ 100-პროცენტიანი რენტაბელობით მუშაობს, ანუ, ყოველ დაბანდებულ მანეთს ერთი მანეთის მოგება მოაქვს. ამჟამად დღის განმავლობაში 100 კაცს ემსახურება, ხოლო ყოველდღიური ნავაჭრი 350-400 მანეთია.

— კერძების მრავალფეროვნების გაზრდით შეიძლება უფრო მეტი სტუმრის მოზიდვაც. — ამბობს ზოია ქარჩავა, — სულ ახლახან მომსახურების ახალი ფორმა დავნერგეთ. ტელეფონით წინასწარი შეტყობინებით შობათ-კვირას ისეთი კერძის შეკვეთაც შეიძლება ჩვენთან, რომელიც ჩვეულებრივ მენიუში არა გვაქვს. მაგალითად, შემწვარი გოჭი... მალე უშუალოდ საქართველოდან მივიღებთ ხორცს სხვადასხვა ბოსტნეულს მზრნელს.

დედაქალაქის ხელმძღვანელობა საზოგადოებრივი კვების სფეროში კოოპერაციული შრომის წახალისებით უზრუნველყოფს კოოპერაციული რესტორნებისა და კაფეების მომარაგებას სასურსათო პროდუქტებით. ზოია ქარჩავა, მაგალითად, სახელმწიფო მაღაზიებში საცალო ფასად იძენს პურის ფქვილს, ბრინჯს, მზესუმზირას, ზეთს, შაქარს, ოსურ ყველს... ხორცს და მწვანილს ბაზარში ყიდულობს.

— რასაკვირველია, ძალიან ვიღებთ ამ ოროტრიალში, მაგრამ მუშაობაც და შედეგიც გვაკმაყოფილებს, — ასკვნიან კაფე „გურიის“ მესვეურები.

სტუმრები რაღას ფიქრობენ? აი, რას გვატყობინებს ახალი ამბების საინფორმაციო კორესპონდენტი დმიტრი ტულაევი მოსკოვიდან გამოგზავნილ თავის ერთ-ერთ კორესპონდენციაში:

— ერთ მშვენიერ დღეს ვესტუმრე კაფე „გურიას“, რათა გამეგო ამ დაწესებულების სტუმართა აზრი. ვესაუბრე მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტის მასწავლებელს, ნასიმა მუსტაფას ასულ ქანალეტდინოვას, რომელიც ქალიშვილთან, რძალთან და ორ შვილიშვილთან ერთად მოკალთებულიყო გაწყობილ სუფრასთან: „ჩვენ აქ ძალიან მოგვწონს, სიმშვიდეა, სიმყუდროვე... თანაც, გემრიელად გვიმასპინძლდებიან... ძალიან ექვის თვალით ხომ არ შეეხედეთ თავიდან ასეთი „კერძო“ კაფე-რესტორნების გაჩენას? რასაკვირველია, ასეც იყო. სხვაგვარ ცხოვრებას ვიყავით შეჩვეული, და იმიტომ... მაგრამ დღეს გვჯერა, რომ ინდივიდუალური შრომა სარგებლობას მოუტანს ყველას და სწორედ ამიტომაც უნდა მივესალმოთ — სოციალიზმის პრინციპებს ხომ ამით არაფერი დაეკლებაო“.

ამასვე ფიქრობს დღეს მოსკოველთა უმრავლესობაც.

ᲡᲝᲩᲮᲣᲛᲘᲡ ს. ჭანბას სახელობის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანმა აფხაზურმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სეზონი გახსნა ცოობილი აფხაზი მწერლის შ. აჯინჯალის ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი პიესის „ოთხი მარტის“ პრემიერით. სპექტაკლი დადგა სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გოგი ქავთარაძემ, მუსიკა ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტს სულხან ცინცაძეს.

„ოთხი მარტი“ აფხაზურ დრამატურგიაში პირველი ნაწარმოებია, რომელშიც წარმოდგენილია ვ. ლენინისა და ს. ორჯონიკიძის პიროვნებები.

ამ დღეებში რუსთაველის თეატრში სოხუმელთა სპექტაკლი ინტერესით ნახეს თბილისელებმაც.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲠᲘᲗᲘ
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ
Ⓓ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲠᲘᲗᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲩᲔᲙᲠᲘᲡᲐᲨᲘ

ᲡᲣᲚ 45 ᲬᲣᲗᲘᲡ...

ᲒᲐᲡᲢᲐᲜᲐ მსოფლიო პირველობაზე კასპაროვისა და კარპოვის მეცხრამეტე პარტიის დამთავრებამ. როგორც ხანგრძლივმა ანალიზმა ცხადყო, თეთრების ზედმეტი პაიკის რეალიზაციის გზები არ ჩანდა. მსოფლიო ჩემპიონი მარჯვედ იცავდა თავს და მეტოქეს იმის საშუალებაც კი მისცა, რომ ეტლით შეეჭრილიყო შავების განლაგებაში. ამასობაში კასპაროვმა გააქტიურა ეტლი და თეთრების მეფეს საშუალება არ მისცა ჩართულიყო თამაშში. მეტოქეებმა დაიწყეს სვლების განმეორება. როცა ეტლების ენდშპილში ზედმეტი პაიკი ვერ გამოიყენა, რომელსაც თითქოს კარპოვისათვის გამარჯვება უნდა მოეტანა, აღინიშნა ყაიმი.

პარტია გადადებული იყო ასეთ პოზიციაში. კარპოვი (თეთრები) — მფf4, ეa3, ეe5, პb. a6, e4, g2, h4 (7) კასპაროვი (შავები) — მფf6 ეa7, ეb6, პb. f7, g7, h6 (6).

პარტია ასე გაგრძელდა: 41. ეea5 (ჩაწერილი სვლა) მფe6 42. ეa1, ეc6 43. ეe5+ მფf6 44. ეf5+ მფe6 45. ეe5+ მფf6 46. ეea5 მფe6 47. ეla2 ეb6 48. g4 f6 49. h5 ეc6 50. ეb2 ეc:a6 51. ეb6+ ე:b6 52. ე:a7 ეb1 53. ე:g7 ეf1+ 54. მფe3 ეe1+ 55. მფf3 ეf1+ 56. მფe2 ეf4 57. მფe3 მფe5 58. ეe7+ მფd6 59. ეh7 მფe5 60. ეe7+ მფd6 61. ეe6 + მფ:e6 62. მფ:f4 მფe7 ყაიმი. ანგარიში გახდა 9,5:9,5.

Ⓑ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამომ“ ბრემენის „ვერდერთან“ უეფას თასის გათამაშების განმეორებითი მერვედფინალური მატჩის წინ გორში ადგილობრივ „დილასთან“ გამართა საკონტროლო შეხვედრა და გიმორჯვა ანგარიშით 4:0. ბურთები გაიტანეს შენგელიამ, გურულმა, ქეცბაიამ და ფანცულაიამ. ამჯერად დინამოელთა შემადგენლობაში იყვნენ: გაბელია, კტტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, სვანაძე, რევიშვილი, ქეცბაია, სულაქველიძე (ფანცულაია), ცვეიბა, გურული, შენგელია.

ᲓᲘᲡᲐᲡᲐᲠᲣᲚᲘ მიუახლოდდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები. **მეხუთე** ჯგუფში უნგრელებმა მორიგი შეხვედრა კვიპროსელებთან გამართეს ბუდაპეშტში და დაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ამ ჯგუფში გასამართი დარჩა კიდევ ორი შეხვედრა: 9 დეკემბერს — ჰოლანდია-კვიპროსი, 16 დეკემბერს — ჰოლანდია-საბერძნეთი. ამ მატჩების წინ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ჰოლანდია — 10 ქულა, საბერძნეთი — 9, უნგრეთი — 8, პოლონეთი — 8, კვიპროსი — 2. **მეშვიდე** შესარჩევ ჯგუფში ბოლო მატჩი მოეწყო. ერთმანეთს შეხვდნენ ლუქსემბურგელები და შოტლანდიელები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. უკვე ადრე იყო ცნობილი, რომ ირლანდიელებმა ამ ჯგუფში 11 ქულის დაგროვებით საბოლოო გამარჯვება და ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. დანარჩენი გუნდები გათამაშების ცხრილში ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: ბულგარეთი — 10 ქულა, ბელგია — 9, შოტლანდია — 9 და ლუქსემბურგი — 1.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ
Ⓓ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 7 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 13.00 — „ნაშუადღევს“. 16.05 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.15 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16. 45 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.15 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 17.45 — მოსწავლეთათვის. „ფანტაზია და მარჯვე ხელები“. 18.15 — განცხადებები. 18.20 — გარდაქმნის წახნაგები. „დაგდებული მატარებელი“ (განმეორებით). 18.40 — „სამყაროს მვილები“ — მუსიკალური სპექტაკლი საბჭოთა და ამერიკელი მოსწავლეების მონაწილეობით. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ). 20.00 — მოამბე. 20.35 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 21.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ამერიკა — გზები და გზისპირები“. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — „გარდაქმნის პროექტორი“. 22.55 — ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ პროვოს უნივერსიტეტის სტუდენტთა ფოლკლორული ანსამბლის კონცერტი (მ).

მეორე პროგრამა. 17.25 — მხატვრული ფილმი „ორნი ქოლგის ქვეშ“. 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აქილევსის ქუსლი“ და „ქალის ჩაცმა“. 19.25 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „როცა თოვლი დნება“. 20.00 — მოამბე.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 13.00 — „ნაშუადღევს“. 16.05 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 17.15 — მულტიპლიკაციური ფილმი „თავი ქუდში მაქვს“. 17.30 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „ესტაფეტა“. 18.15 — რეპორტაჟი საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმიდან. 18.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კიბაურის ველი“. 19.00 — „სტუდია „დიალოგი“ (საუბარი ეკოლოგიურ საკითხებზე). 19.25 — კონცერტი. „უკრავს გულნარა ქავთარაძე“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ). 20.00 — მოამბე. 20.35 — „გარდაქმნის წახნაგები“. 21.00 — თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა... ტელეხიდი „ლენინგრადი — სიეტლი“ (მ). 22.00 — „ვრემია“ 23.00 — ჩვენი საუკუნე გიცავს უასლესი. 23.10 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რეზო ჩხეიძე“.

მეორე პროგრამა. 17.35 — მხატვრული ფილმი „უნეტარესი გამტაცებელი“. 18.40 — კინონარკვევი. 18.50 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ცხოვრების თარგი“ და „ვეძებ კარგ ადამიანს“. 20.00 — მოამბე.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 9 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 13.00 — „ნაშუადღევს“. 16.05 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.45 — მულტიპლიკაციური ფილმი „გამოხედვა“. 16.55 — „ახალგაზრდა ქართველი მხატვრების გამოფენა მოსკოვში“. (განმეორებით). 17.50 — მოსწავლეთათვის. „წიგნი — ჩემი მეგობარი“. 18.25 — მოამბე. 19.00 — ფეხბურთი უეფას თასზე. მერვედფინალი. თბილისის „დინამო“ გფრ-ის „ვერდერი“. რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან. 20.50. მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ადექი ადრე“. 21.25 — „გიწვევთ თბილისის საკონცერტო დარბაზებში“. მღერის იელის უნივერსიტეტის გუნდი (აშშ). 22.00 — „ვრემია“. 23.00 — მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები ბულგარეთში.

მეორე პროგრამა. 17.30 — მხატვრული ფილმი „გადალახვა“. 18.40 — კინონარკვევი კორეუნის კუნძული“ 18.50—სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ანტარქტიდის“ აღმოჩენა. 19.15—მოამბე. 20.00—მხატვრული ფილმი „ნამდვილი მამაკაცების საქმე“.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.00—„90 წუთი“. 13.00—ნაშუადღევს. 16.05—დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.45 — მულტიპლიკაციური ფილმი „ახალგაზრდა ქართველი მხატვრების გამოფენა მოსკოვში“. (განმეორებით). 17.50 — მოსწავლეთათვის. „წიგნი — ჩემი მეგობარი“. 18.25 — მოამბე. 19.00 — ფეხბურთი უეფას თასზე. მერვედფინალი. თბილისის „დინამო“ გფრ-ის „ვერდერი“. რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან. 20.50. მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ადექი ადრე“. 21.25 — „გიწვევთ თბილისის საკონცერტო დარბაზებში“. მღერის იელის უნივერსიტეტის გუნდი (აშშ). 22.00 — „ვრემია“. 23.00 — მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები ბულგარეთში.

მეორე პროგრამა. 17.30 — მხატვრული ფილმი „გადალახვა“. 18.40 — კინონარკვევი კორეუნის კუნძული“ 18.50—სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ანტარქტიდის“ აღმოჩენა. 19.15—მოამბე. 20.00—მხატვრული ფილმი „ნამდვილი მამაკაცების საქმე“.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 11 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“ (მ). 13.00 — „ნაშუადღევს“. 16.05 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.45—მულტიპლიკაციური ფილმი „აურზაური“. 17.00 — მასწავლებლის საათი. 17.30 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პაპა და პატარა მედოლე“. 17.40 — „კინომოზაიკა“. 18.15 — მოსწავლეთათვის. „უკრავს პოლინა ოსტროვსკაია“. 19.00 — განცხადებები. 19.05 — „მთა, სოფელი, პრობლემები“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ). 20.00 — მოამბე. 20.35 — ხალხური შემოქმედება „ცაგერობა“. 20.55 — „მეგობრობა გზად და ხიდად“. ლიტერატურული უყრანაა. 21.50. — საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 23.00 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილ